

# როცა ჭაჩსყდის ბასაღაზი დაკარგა: ტრავმის კვადი ჰოსტოტადიტაჩსკი სეკატოვაღოში

WHEN THE KEY TO THE PAST IS LOST:  
TRACKING TOTALITARIAN TRAUMA IN GEORGIA

---

ჯანა (დარეჯან) ჯავახიშვილი  
სრული პროფესორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

Jana D. Javakhishvili  
Full Professor, Ilia State University

## Summary

The totalitarian situation implies a Victim-Aggressor-Bystander triangle, where the three roles are interchangeable. After the totalitarian regime is over, to recover the situation and heal the society, institutional mechanisms of dealing with the past should be put in place. Those are: lustration, restorative justice, memorization & symbolization strategies, etc.

In Georgia none of the mentioned above measures took place since regaining independence in the early nineties. In contrary, the society maintains Conspiracy of Silence regarding the totalitarian repressions, lustration was not implemented, restorative justice was not applied; the State legislation restricts scientists/historians to access the archives to study the Soviet past, and no memorization or symbolization strategies are in place. This does not help the Georgian society to mourn out the losses related to the traumatizing totalitarian experiences.

The analysis presented in the paper is based on the study exploring impact of totalitarian trauma on the Georgian society, conducted by the author of the paper as a principle investigator together with the team of researchers in the period from 2011 to 2018. The study is based on the qualitative, phenomenological approach and implies two components. The first component explores the impact of the totalitarian trauma on a current socio-political life of Georgia, based on the works of Melanie Klein, Wilfred Bion, Earl Hopper and Vamik Volkan, by the means of the Critical Discourse Analysis. The second component of the study explores the impact of the totalitarian repressions related trauma on the second and third generation of the repressed families, implying individual in-depth interviews.

The study results show that the Georgian society failed to mourn out the totalitarian repressions related losses. Due to this, the totalitarian trauma is not processed, dealing with the past is ignored and the totalitarian past is even denied. This situation creates an impression that Georgia 'has lost its keys to the Past', which prevents the country from concluding the lessons from the past and preventing alike malignant developments in the future.

The unmourned societal trauma reveals itself via Basic Assumptions of Dependency, Fight & Flight, Paring and Incohesion (Massification/ Aggregation) shaping regressive socio-political dynamics, which keeps the Georgian society trapped within the totalitarian triangle. The Georgian

Orthodox Church plays an active role in the implementation of the Basic Assumptions based socio-political dynamics.

The traumatic experiences related to the totalitarian repressions affect the next generations of the repressed both directly and indirectly. One can observe the direct symptoms related to trauma exposure among the second-generation representatives (i.e. panic attacks in case if a car stops in the night in front of the building, which reminds them of the arrest of their parent(s)). But the most significant impact of trauma could be observed via life trajectories of the family members: their most important life decisions (choosing a profession, choice of a partner, etc.) are influenced by the traumatic experiences.

The Study reveals paradoxical resilience strategies, as well as paradoxical patterns of attachment between the second and third generations. Namely, due to the high level of anxiety the survived parent (the first generation) tried to protect the second generation representatives and implied overprotective controlling authoritarian upbringing strategies; the second generation representative, witnessing parent's high level of anxiety, in turn, tries to protect the parent which turns into so called "parentification". Described patterns reveal a high risk for transgenerational transmission of trauma.

All the respondents stressed their dissatisfaction with the State measures focused at rehabilitation of the victims of totalitarian repressions, as they were fragmented and limited to the provision of the extremely low material compensation without any attempts for moral compensation or restorative justice.

To contribute to societal healing, the work should be implemented in the following directions: advocating for the relevant legislative changes, promoting multidisciplinary studies exploring the totalitarian past, working on the dissemination of studies' results as well as memorization & symbolization of the past. This will contribute to the overcoming conspiracy of silence existed in the country towards the totalitarian past and will facilitate corresponding reflection.

## „რადაც დამპალა დანის სამეფოში...“

2019 წლის 31 ოქტომბერს საქართველოს საპატრიარქოში სინოდის სხდომა გაიმართა, სადაც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ეპისკოპოსი პეტრე ცაავას მღვდელმთავრობიდან გადაყენების თაობაზე. ამავე სხდომაზე, ყოფილმა მღვდელმთავარმა კათალიკოს პატრიარქი ილია მეორე პედოფილიაში დაადანაშაულა. ორი დღით ადრე ეპისკოპოსმა იაკობმა მალალი რანგის პოლიტიკური მოხელეები პატრიარქის ტახტიდან ჩამოგდების მცდელობაში დაადანაშაულა. ამ ყველაფერს წინ უძღოდა განხეთქილება პოლიტიკურ ფრონტზეც – მმართველი პარტიის გუნდში.

საბჭოთა კავშირის დაშლისა და შესაბამისად, დამოუკიდებლობის დაბრუნების შემდგომ ქართული საზოგადოება გამუდმებით ხან ერთ მუშტად იყო ხოლმე შეკრული ამა თუ იმ ლიდერის (ზვიად გამსახურდიას, მიხეილ სააკაშვილს, ბიძინა ივანიშვილის) დაქვემდებარებაში, ან ორ პოლუსად გახლეჩილი („ზვიადისტები“ „პუტრისტების“ წინააღმდეგ, „ქოცები“ „ნაცების“ წინააღმდეგ). პოლუსებს შორის დაპირისპირება ხან სამოქალაქო ომში გადაიზარდა (90-იანების დასაწყისი), ხან სიძულვილზე აგებულ პოლიტიკურ კულტურაში (2000-იანი წლების მეორე ათეულის შეუდგარი „კოჰაბიტაცია“ და ა.შ.). ამ ორ უკიდურეს პოლუსთან თანხვედრაში არმყოფი პოზიციის მიმართ საზოგადოებაში უკიდურესმა შეუწყნარებლობამ მოიკიდა ფეხი. ამას კარგად გამოხატავს ბიძინა ივანიშვილის მიერ ძალაუფლებაში მოსვლის

პერიოდში წარმოთქმული პროგრამული ფრაზა – „შუა უნდა გაიკრიფოს“ მათ, ვისი „გაკრეფაც“ არ გამოვიდა, „შუაშისტის“ სტიგმა დაედოთ და ორივე მხრიდან არანაკლები სიძულვილის ობიექტები გახდნენ, ვიდრე მხარეები ერთმანეთის მიმართ ამჟღავნებდნენ.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, რომელიც ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ მოსახლეობაში უკიდურესად მაღალი ნდობით სარგებლობდა,<sup>1</sup> მიუხედავად სხვადასხვა შინაგანი ურთიერთსაწინააღმდეგო დინებებისა, პოზიციის თვალსაზრისით მეტ-ნაკლებად ჰომოგენური იყო ხოლმე. კერძოდ, იგი მისდევდა და ამკვიდრებდა პატრიარქალურ კონსერვატიულ ფასეულობებსა და შეუწყნარებლობას განსხვავებულის მიმართ, ხოლო ხელისუფლებაში მოსულ ყოველ ძალასთან ახერხებდა საერთო ენის გამო-ნახვასა და თავისთვის განსაკუთრებული პირობების (უძრავი ქონების „შესყიდვა“ სიმბოლურ ფასად, ბიუჯეტიდან დიდძალი თანხების მიღება ანგარიშვალდებულების გარეშე,<sup>2</sup> საბჭოთა რეპრესიების გამო სახელმწიფოს მხრიდან ზარალის ანაზღაურება<sup>3</sup> და ა.შ.) მოლაპარაკებასა და შეთანხმებას.

2019 წლის ბოლოს, ქვეყნის სოციო-პოლიტიკური რეალობის ორ ურთიერთმოდულე პოლუსად ამგვარი გახლეჩა შეცვალა ქვეყნის სოციო-პოლიტიკური და ეკლესიური სპექტრის უკიდურესმა დაფრაგმენტებამ – თითქოს ყველა ყველას წინააღმდეგ მობილიზდა: „პოლარიზაცია აღარ არსებობს. დროის ახალი სათაურია ‘ფრაგმენტაცია’. წარმოდგენა, რომლის მიხედვითაც ორი ძალა ერთმანეთს უპირისპირდება, მოძველდა. არსებობს ‘დომხალი’, სადაც ყველა ერთმანეთს კბენს და ურტყამს. დაყოფამ და გაუცხოებამ მიაღწია დონეს, როდესაც ადამიანები მხოლოდ თავიანთი ოჯახის წევრებს თუ ენდობიან. იჩხუბეს ძმაკაცებმა, დაქალებმა, მეგობრებმა, კოლეგებმა, პარტნიორებმა, თანაპარტიელებმა, ერთი ეკლესიის შვილებმა, ლიბერალებმა (ყველასთან), მემარცხენეებმა (ერთმანეთში), მემარჯვენეებმა (ლიბერტარიანელებთან), მართლმადიდებლებმა (დასავლეთი vs აღმოსავლეთი) და პრორუსებმა (soft vs hard)...“<sup>4</sup>

მაგრამ ეს დაფრაგმენტებული მდგომარეობაც დროებითია და ძალიან ადვილია საზოგადოება კვლავ ორპოლუსიან არსებობას დაუბრუნდეს; ან, გაერთიანდეს ერთი კონკრეტული ლიდერის გარშემო, რომელსაც ახალ „გადამრჩენელად“ შერაცხავს. დიდი ჯგუფების<sup>5</sup> ფსიქონალიტიკოსები საზოგადოებრივი ცხოვრების ამგვარ ფსიქოდინამიკას „საბაზო დაშვებების“<sup>6</sup> დინამიკას უწოდებენ.

1 უკანასკნელი გამოკვლევების თანახმად ნდობა შედარებით დაქვეითებულია, თუმცა კვლავ მაღალია: 2008 წელს მართლმადიდებელი ქრისტიანების 75% სრულიად ენდობოდა ეკლესიას, მაშინ როცა 2017 და 2019 წლებში ეს პროცენტი 38%-მდე დაქვეითდა (CRRC, 2020) <https://oc-media.org/analizi-saeklesio-skandalebi-zians-akenebs-sakartvelos-martlmadidebeli-eklesiis-mimart-ndobas/> (3.08.2020)

2 საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს კვლევა <https://transparency.ge/ge/blog/sakartvelos-sapatrarkostan-dakavshirebuli-bizneskompaniebi-da-skhva-organizaciebi> (16.01.2020)

3 ეკლესია დღესდღეობით არის ერთადერთი ინსტიტუცია საქართველოში, რომელიც სახელმწიფოსგან საბჭოთა პერიოდის რეპრესიების გამო მატერიალურ და მორალურ კომპენსაციას იღებს. 2002 წელს დადებული კონსტიტუციური შეთანხმების საფუძველზე, სახელმწიფო ბიუჯეტიდან საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ანგარიშზე ყოველწლიურად ათეულობით მილიონი ლარი ირიცხება.

4 გიგა ზედანიას 2019 წლის 31 ოქტომბრის ბლოგ-პოსტი [https://www.facebook.com/permalink.php?story\\_fbid=812624952530087&id=100013477695929](https://www.facebook.com/permalink.php?story_fbid=812624952530087&id=100013477695929) (31.10.2019)

5 დიდი ჯგუფების ანალიტიკოსების მიხედვით „ასეულობით ათასი, მილიონობით ადამიანი, რომელთაც ზიარი იდენტობა აქვთ“ (Volkan 2009a).

6 საბაზო დაშვებები გულისხმობს შემდეგს: დიდ ჯგუფს, გამომდინარე წარსული ტრავმული გამოცდილე-

მოცემულ სტატიაში გაანალიზებულია ტოტალიტარულ წარსულთან დაკავშირებული მატრავმირებელი გამოცდილების ზეგავლენა საქართველოს მოსახლეობაზე – ინდივიდუალურ, ოჯახურ და სოციალურ დონეზე.

ანალიზი ეყრდნობა ტოტალიტარულ რეპრესიებთან დაკავშირებული ტრავმის თაობიდან თაობაში გადაცემის კვლევას, რომელიც განხორციელდა 2011-2018 წლებში (ჯავახიშვილი 2018).

კვლევა ეყრდნობა თვისებრივ, ფენომენოლოგიურ მიდგომას და შედეგება ორი კომპონენტისგან. პირველი კომპონენტი წარმოადგენს საქართველოს, კერძოდ – მისი დღევანდელი სოციო-პოლიტიკური რეალობის, როგორც შემთხვევის ანალიზს. ანალიზი ეყრდნობა ვამიკ ვოლკანის ფსიქოდინამიკური ფსიქოპოლიტიკური ანალიზის მიდგომას (Volkan 1998, 2006, 2009ა, 2009ბ და ა.შ.), მელანი კლეინის განვითარების თეორიას (Klein 1940), ვილფრედ ბიონის საბაზო დაშვებების თეორიას (Bion 1961) და ეარლ ჰოფფერის სოციალური ჯგუფების არაშეჭიდულობის თეორიას (Hopper 2003). კვლევის მოცემული კომპონენტი განხორციელდა დისკურსის კრიტიკული ანალიზის მეთოდის გამოყენებით (Van Dijk 1993; Fairclough 2003).

კვლევის მეორე კომპონენტის ფარგლებში შესწავლილ იქნა ტოტალიტარული რეპრესიების გავლენა რეპრესირებულთა ოჯახის წევრებზე, როგორც ინდივიდუალურ, ასევე ოჯახური სისტემის დონეზე. სულ განხორციელდა 28 ჩაღრმავებული ინტერვიუ რეპრესირებულთა შთამომავლებთან: 13 ინტერვიუ რეპრესირებულთა ოჯახების მეორე თაობის წარმომადგენლებთან და 15 – მესამე თაობის წარმომადგენლებთან. კვლევაში გამოყენებულ იქნა ჩაღრმავებული ინტერვიუს მეთოდი. მონაცემთა დამუშავება მოხდა კონტენტ-ანალიზის გზით, მკვლევართა გუნდის მიერ, საექსპერტო კონსენსუსის საფუძველზე.

აღწერილი კვლევის შედეგები იძლევა საშუალებას ვიმსჯელოთ საქართველოში ტოტალიტარული ტრავმის ზეგავლენაზე ინდივიდის, ოჯახისა და საზოგადოების სოციო-პოლიტიკური ცხოვრების დონეზე. ქვემოთ გთავაზობთ ამ კვლევის შედეგებზე დაფუძნებულ ანალიზს.

სტატიის პირველ ნაწილში აღწერილია ტოტალიტარული პერიოდის საქართველოში მოქმედ სტრესორთა კომპლექსური სისტემა, და ტოტალიტარული ტრავმა, როგორც ამ სტრესორთა ზემოქმედების შედეგი; მეორე თავში აღვწერ ტოტალიტარულ ტრავმასთან დაკავშირებული დანაკლისის გამოგლოვებისა და შესაბამისად, ტრავმასთან გამკლავების ბარიერებს საქართველოში; მესამე თავში გაანალიზებულია გამოუგლოვებელი ტოტალიტარული ტრავმის შედეგად განვითარებული საზოგადოებრივი ცხოვრების არაჯანსაღი – „საბაზო დაშვებებზე“ დაფუძნებული დინამიკა; მეოთხე თავში გადმოცემულია ტოტალიტარული ტრავმის გავლენა ინდივიდისა და ოჯახის დონეზე – რეპრესირებული ოჯახების მეორე და მესამე თაობის შესწავლის საფუძველზე. სტატიის დასკვნით თავში ჩამოყა-

---

ბიდან – ე.წ. „ისტორიული ტრავმიდან“ (Alexander 2004; Danieli et al, 1998; Hopper 2003; Volkan 1998 და ა.შ.) აქვს ანიპილაციის ანუ, განადგურების, გაქრობის, იდენტობის დაკარგვის შიში. ამ შიშის გადასალახავად, სიტუაციის გამოსწორებისთვის, სიტუაციის ცვლილებაზე მიზანდასახული მუშაობის ნაცვლად, კეთდება საბაზო დაშვება იმის თაობაზე, თუ რა/ვინ გადაარჩენს საზოგადოებას/ქვეყანას/იდენტობას. ამგვარი დაშვების საფუძველზე ვითარდება საზოგადოებრივი ცხოვრების შესაბამისი დინამიკა, ხოლო საზოგადოება გადადის რეგრესის მდგომარეობაში. ამგვარ რეგრესულ პროცესებს ადგილი აქვს მაშინ, როდესაც საზოგადოება ვერ ახერხებს ტრავმული გამოცდილების გამოგლოვებასა და მასთან გამკლავებას (Hopper 2003; Volkan 2006).

როცა წარსულის გასაღები დაკარგულია: ტრავმის კვალი პოსტოტალიტარულ საქართველოში

ლიბებულება, თუ რა შეიძლება ამჟამად გაკეთდეს იმისთვის, რომ არსებული რეგრესული მდგომარეობიდან ქვეყნის სოციო-პოლიტიკური ცხოვრება გადავიდეს ჯანსაღი განვითარების დინამიკაში.

### **ტოტალიტარული სიტუაცია და ტოტალიტარული ტრავმა საქართველოში**

ძალადობრივი ურთიერთობების შესწავლაზე მომუშავე ფსიქოანალიტიკოსები აღწერენ ე.წ. ძალადობრივ სამკუთხედს. ძალადობრივი სამკუთხედი ძალადობრივ სიტუაციას აღწერს, როგორც მსხვერპლის, აგრესორისა და გვერდიდან მყურებლის დინამიკურ ურთიერთქმედებას. მსხვერპლის, აგრესორისა და გვერდიდან მყურებლის როლებში შესაძლოა გამოდიოდნენ როგორც ინდივიდები, ასევე ჯგუფები და ინსტიტუციები (Herman 2019; Hopper 2003; Volkan 2009a; Volkan 2009b).

ჯუღით ჰერმანი ამგვარად ახასიათებს ამ როლებს: აგრესორი აკეთებს იმას, რაც უნდა; მსხვერპლი მას ემორჩილება; გვერდიდან მყურებელი უფრო ხშირად უსუსურად გრძნობს თავს რომ ჩაერიოს, ან არ ენაღვლება/არ აინტერესებს რაც ხდება და ამდენად, მსხვერპლის ვიქტიმიზების პასიური მოწმე ხდება (Herman 2019).

ძალადობრივი სამკუთხედის როლები დინამიკურია და ურთიერთში ადვილად გადადის: აგრესორი შესაძლოა მსხვერპლი გახდეს, მსხვერპლი – აგრესორი, გვერდიდან მყურებელმა შესაძლოა ან აგრესორის როლი მოირგოს, ან, მსხვერპლად იქცეს და ა.შ.

რამდენადაც ტოტალიტარული რეჟიმი ძალადობაზე დაფუძნებული პოლიტიკური სისტემაა, ზემოთ აღწერილი სამკუთხედი შესაძლებელია განვიხილოთ, როგორც ტოტალიტარული სახელმწიფოსთვის დამახასიათებელი არსებობის მოდუსი. მას შესაძლოა დავარქვათ *ტოტალიტარული სიტუაცია*, ხოლო ძალადობრივ სამკუთხედს კი – *ტოტალიტარული სამკუთხედი*.

„გვერდიდან მყურებლის“ როლი, ერთი შეხედვით, ნეიტრალურია; მაგრამ, სინამდვილეში, სწორედ ისაა ყველაზე მნიშვნელოვანი ტოტალიტარულ სამკუთხედში, და ამას შემდეგი განაპირობებს:

(1) გვერდიდან მყურებელი არ იღებს ხმას, როდესაც მსხვერპლზე აგრესორის ძალადობის მოწმე ხდება, რამდენადაც მას ეშინია თავად არ გახდეს მსხვერპლი. ამ შიშის გამოისობით იგი თავს უსუსურად გრძნობს და იდენტიფიცირდება მსხვერპლთან. ამავე დროს, რამდენადაც იგი ხმას არ იღებს – იგი ნებისთნეულად უნებლიეთ ტოლერირებს აგრესიას და ამდენად, იდენტიფიცირდება, ასევე, აგრესორთან. შედეგად, იგი შინაგანი გახლეჩის მდგომარეობაშია – ერთდროულად არის იდენტიფიცირებული მსხვერპლთან და აგრესორთან.

(2) რომ არა გვერდიდან მყურებლის დუმილი, შესაძლოა ტოტალიტარული რეჟიმი არც კი ჩამოყალიბდეს. ამ მხრივ ნიშანდობლივია რუსი მწერლისა და დისიდენტის, ალექსანდრ სოლჟენიცინის მსჯელობა მის ნაწარმოებში „არქიპელაგი გულაგი“: იგი განიხილავს მომენტს, როცა გადასახლებისკენ გზად, რუსეთის ერთ-ერთ პატარა ქალაქში მას აცილებდა ბადრაგი, რომლის შემადგენლობაში მხოლოდ და მხოლოდ ორი ახალგაზრდა სამხედროს შედიოდა. სოლჟენიცინი სვამს შეკითხვას: ნეტა, რომ მეყვირა რომ უდანაშაულო ვარ და მომეზიდა ადამიანების ყურადღება, თუ დამიცავდა ვინმე? ნეტა, ადამიანებს რომ ეყვირათ და გაეპროტესტებინათ ჩემი დაკავება, შეძლებდა კია ის ორი პატარა ბიჭი მათ შეწინააღმდეგებას? დასკვნა, რომელიც სოლჟენიცინს გამოაქვს, ასეთია: შესაძლოა,

საბჭოთა რეპრესიები ვერც გაშლილიყო იმ მასშტაბით, რა მასშტაბითაც გაიშალა, ხალხს რომ წინააღმდეგობა გაეწია აგრესორებისთვის: როგორც მსხვერპლთ, ასევე გვერდიდან მაყურებლებს.

(3) მნიშვნელოვანია გვერდიდან მაყურებლის როლი მას მერეც, რაც ტოტალიტარული რეჟიმი სრულდება: იმისთვის, რათა მოხდეს სიტუაციის გაჯანსაღება, სწორედ გვერდიდან მაყურებელია ის სუბიექტი, რომელსაც შეუძლია იმის ვალიდიზაცია, რომ ძალადობას და შესაბამისად, ვიქტიმიზაციას მართლა ჰქონდა ადგილი. თუ ეს არ ხდება – ნაკლებად სავარაუდოა, რომ აგრესორი აღიარებს იმას, თუ რა გაუკეთა მსხვერპლს. თუ ეს არ მოხდა, მსხვერპლის რეაბილიტაცია ვერ მოხერხდება და ამ შემთხვევაში სამკუთხედი დაშლილი არ არის და იგი სხვადასხვა სახით იჩენს თავს საზოგადოების შემდგომ სოციო-პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ეარლ ჰოფფერმა სტრესორები სამ კლასად დააჯგუფა (Hopper 2003): ყოველდღიური პრესი – რაც კონტექსტში შიშის, შფოთვისა და უსუსურობის განცდის აღმძვრელი რეგულარული სტრესორების ზემოქმედებას გულისხმობს;

კუმულაციური სტრესორები, რაც გულისხმობს კონკრეტულ მატრავმირებელ ინციდენტებს ინდივიდუალურ თუ ოჯახურ დონეებზე(ხდომილობებს);

დაბოლოს – კატასტროფული სტრესორები, რაც სათემო თუ საზოგადოებრივი მასშტაბის, ადამიანის ხელით შექმნილ თუ ბუნებრივ კატასტროფებს გულისხმობს.

ჰოფფერისეული კლასიფიკაცია შესაძლებელია მივუსადაგოთ ტოტალიტარულ სიტუაციასა და ტოტალიტარული სამკუთხედის დინამიკას. კერძოდ, ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში, საქართველოში მოქმედ სტრესორთა კომპლექსური სისტემა შემდეგნაირად შეგვიძლია დავახასიათოთ:

*ყოველდღიური პრესი* განაპირობებდა მიმდინარე უწყვეტი ტოტალიტარული კონტროლი, რომელიც, თავის მხრივ, დასმენის, დადანაშაულებისა და დაჭერის უწყვეტ შიშთან იყო დაკავშირებული. ამასთან მიმართებაში, საინტერესოა, რომ უკვე ბრეჟნევის პერიოდში – საბჭოთა უძრავობის ხანაში, როდესაც ტოტალიტარული რეპრესიული აპარატი შედარებით ნაკლები სისასტიკით გამოირჩეოდა, ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ხუმრობა არასასურველ ქცევაზე საპასუხოდ იყო – „ამას ნუ აკეთებ, თორემ დაგვიჭერენ!“ იუმორი დაცვის ერთ-ერთი საუკეთესო მექანიზმია (Vaillant 1992), და როგორც ჩანს, მოსახლეობა, თავის დროზე, ამ ხუმრობით, ტოტალიტარული კონტროლის ტრავმასთან გამკლავებას ცდილობდა;

კუმულაციური სტრესორები დაკავშირებული იყო ინდივიდუალური თუ ოჯახური მასშტაბის ისეთ ინციდენტებთან, როგორიცაა, მაგ., ოჯახის წევრ(ებ)ის, მეგობრების, ნათესავების დაპატიმრება, ამასთან დაკავშირებით „ხალხის მტრის“ შვილის, ცოლის, ძმის/დის და ა.შ. სტიგმის დადება, და ამასთან დაკავშირებული პირადი და ოჯახური ტრაგედიები;

კატასტროფულ სტრესორებს წარმოადგენდა ადამიანის ხელით შექმნილი ისეთი დიდი მასშტაბის კატასტროფული ინციდენტები, როგორიც იყო – 1921 წლის ანექსია, 1924 წლის აჯანყების ჩახშობა და მოყოლებული რეპრესიების ტალღა, 1941 წელს თსუ-ს სტუდენტების დახვრეტა, 1956 წელს მიტინგის მონაწილეთა დახვრეტა, 9 აპრილის ტრაგედია და ა.შ.

სტრესორთა ამგვარი კომპლექსური სისტემის ზემოქმედება საზოგადოების უკლებლივ ყველა დონეზე იწვევდა როგორც ინდივიდუალური, ასევე ოჯახური და საზოგადოებრივი მასშტაბის ტრავმატიზაციას. ქართულ საზოგადოებაზე ამ ტრავმატიზაციის ზეგავლენის

როცა წარსულის გასაღები დაკარგულია: ტრავმის კვალი პოსტოტალიტარულ საქართველოში

აღსაწერად შემომაქვს ტერმინი *ტოტალიტარული ტრავმა*, რომელიც გულისხმობს საზოგადოების სხვადასხვა (ინდივიდუალურ, ოჯახურ, სათემო, საზოგადოებრივ) დონეზე არსებულ ტრავმებს, მიღებულს ტოტალიტარულ რეჟიმში ცხოვრების ზიანი გამოცდილებით (Javakhishvili 2015; ჯავახიშვილი 2018).

დიდი ჯგუფის ტოტალიტარული ტრავმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელი არის ე.წ. ანიჰილაციის ანუ გაქრობის შიში. ჰოფფერი გაქრობის შიშს განმარტავს, როგორც რეაქციას „უსუსურობის განსაკუთრებით ძლიერ გამოცდილებაზე, რომელსაც იწვევს დანაკლისი, უგულებელყოფა და ზიანი ტრავმატოგენური პროცესის კონტექსტში, რომელიც გრძელდება თაობების მანძილზე, მოიცავს ურთიერთობას მსხვერპლს, მდევნელსა და გვერდიდან მაყურებელს (Bystander) შორის და ტრავმაზე რეაგირების შესაბამის პატერნებს“ (Hopper 2003, 55).

## წარსულის გამოგლოვების მარცხი საქართველოში

ნებისმიერი ტრავმული გამოცდილება დაკავშირებულია დანაკლისთან. ეს შესაძლოა იყოს ახლობელი ადამიანის დაკარგვა და მასთან დაკავშირებული ტკივილი. შესაძლოა იყოს მატერიალური ზარალი. მაგრამ, ასევე, შესაძლებელია იყოს სიმბოლური დანაკლისი. მაგალითად, ისეთი საბაზო რწმენების დაკარგვა, როგორცაა საკუთარი თავისა და ახლობელი ადამიანების დაცულობისა და ხელშეუხებლობის, სამყაროს სამართლიანობის, ცხოვრების კონტროლირებადობისა და თანმიმდევრულობის, მომავლის პროგნოზირებადობის ილუზიები (Janoff-Bulman 1992). ტრავმის შედეგად განვითარებულმა უსუსურობის განცდამ შესაძლოა ადამიანს დააკარგვინოს საკუთარი თავის, როგორც მრთელისა და ფასეულის აღქმა. ფენომენოლოგიურად, ტრავმა შესაძლოა დანაკლისის შემდეგი განცდებით გამოიხატებოდეს: „მე აღარასდროს აღარ ვიქნები ისეთი, როგორც მატრავმირებელ მოვლენამდე ვიყავი“, „სამყარო აღარასდროს აღარ იქნება ისეთი, როგორც მატრავმირებელ მოვლენამდე იყო“ (სარჯველაძე და სხვ. 2008).

დანაკლისი მოითხოვს გამოგლოვებას. ტრავმა, რამდენადაც მჭიდროდ არის გადაჯაჭვული დანაკლისთან, ასევე მოითხოვს გამოგლოვებას. გამოგლოვების გარეშე ტრავმასთან გამკლავება შეუძლებელია. გამოგლოვების ქვეშ აქ არ იგულისხმება ტირილი, შავით შემოსვა ან გოდება, თუმცა ეს ყველაფერი შესაძლებელია გლოვის რიტუალის ნაწილი იყოს. გამოგლოვება, ჯულია ბოგენსფერგერი და ბირგიტა ლუგერ-შრუსტერიის განმარტებით, არის „დანაკლისის ობიექტთან რეალური თუ სასურველი ურთიერთობების გადასინჯვის ნელი შინაგანი პროცესი, რომელიც გრძელდება მანამ, სანამ დანაკარგის რეალურობა ემოციურად მისაღები გახდება“ (Bogensperger & Lueger-Schuster 2014).

გამოგლოვების ამოცანების თვალსაზრისით, ზემოთ მოყვანილი განმარტება ნიშნავს შემდეგს (Bogensperger & Lueger-Schuster 2014; Klein 1940; Herman 2019; Hopper 2003, Volkan 2006; Volkan 2009a):

- დანაკლისის პერმანენტულობის მიღებას – როგორც მოცემულობისა;
- დანაკლისთან დაკავშირებული ემოციების გამოხატვა-გახარჯვა-რეალიზებას;
- დანაკლისსა და ტრავმულ გამოცდილებაში საზრისის ჩადებას. ეს, ერთი მხრივ, გულისხმობს დანაკლისის ახსნას ნებისმიერ „კოორდინატთა სისტემაში“ – იქნება ეს

რელიგიური, სამეცნიერო თუ სხვა. საზრისის ჩადების ფენომენოლოგიას მეორე, კიდევ უფრო რთული საფეხური აქვს, რომელსაც ყველა ვერ ახორციელებს/აღწევს: ეს არის იმის გაცნობიერება, თუ რა მოუტანა დანაკლისმა ინდივიდს (ან ოჯახსა თუ საზოგადოებას – გააჩნია, თუ რომელ დონეზე ხდება ტრავმირება), ფასეულობითი ზრდის თვალსაზრისით. აქ საკვანძო შეკითხვა შემდეგია: რა შემმატა მე, როგორც პიროვნებას (ოჯახს, თემს, საზოგადოებას) დანაკლისის/ტრავმის/ტკივილის გამოცდილებამ, გამხადა თუ არა მან მე/ჩვენ უკეთესი. თუ ამ შეკითხვაზე სუბიექტი შეძლებს დადებითი პასუხის გაცემას, ეს მას ტრავმასთან გამკლავებაში დაეხმარება. თუმცა, გამოგლოვების ამ რთული ამოცანის შესრულებას ყველა ვერ ართმევს თავს;

- გლოვასა და შესაბამისად, წარსულთან მიჯაჭვულობაზე წერტილის დასმას და ახალ პირობებში, ახალი, ტრავმის შედეგად შეცვლილი იდენტობით, ცხოვრების გაგრძელებას, ახალი კავშირების დამყარებას, ცხოვრების ახალი საზრისის მოძიებას, და როგორც ვამიკ ვოლკანი იტყოდა – ფსიქიკური ენერჯის ინვესტირებას განვითარებაში (Volkan 2006).

ჯუღით ჰერმანმა სპეციალურად იკვლია დანაკლისის გამოგლოვებისა და ტრავმასთან გამკლავების ხელშემწყობი ფაქტორები ძალადობასთან დაკავშირებული ტრავმის შემთხვევაში. ამგვარ ტრავმასთან გამკლავებას თავისი სპეციფიკა აქვს, რამდენადაც იგი მნიშვნელოვანწილად არის დაკავშირებული უსამართლობის, უსუსურობისა და სირცხვილის განცდებთან (Herman 1992; Hopper 2003; Volkan 2006). ჰერმანის კვლევის შედეგების თანახმად, ძალადობრივ გამოცდილებას დაქვემდებარების შემდგომ, ტრავმირებული ადამიანისთვის ყველაზე პრიორიტეტულია შემდეგი (Herman 2019):

1. გარშემომყოფებმა (ოჯახისა და თემის წევრებმა, მართლმსაჯულების სისტემამ) აღიარონ ის ფაქტები, რაც მას თავს გადახდა;
2. აღიარონ ზიანი, რომელიც მას ძალადობით მიაღგა;
3. თემმა, საზოგადოებამ, მართლმსაჯულების სისტემამ გაამართლოს იგი და მხარი დაუჭირონ;

მსხვერპლისთვის შედარებით ნაკლებად, მაგრამ მაინც მნიშვნელოვანია:

- გულწრფელი, ნამდვილი ბოდიში აგრესორის მხრიდან (არაგულწრფელ ბოდიშს ურჩევნია რომ საერთოდ არ მოხდეს ბოდიშის მოხდა);
- სამართლიანი რესტიტუცია;
- შემდგომი ზიანის თავიდან აცილებაზე/პრევენციაზე მიმართული ღონისძიებები;
- აგრესორის შერცხვენა/დარცხვენა, ხილვადობა და ამავე დროს – კონტროლირებადობა (შესაბამისი უწყებების მხრიდან). რამდენადაც ჯუღით ჰერმანის მიხედვით ტრავმა უსუსურობის განცდასა და ამ უსუსურობის განცდიდან გამომდინარე – სირცხვილის ფენომენტთან არის მჭიდროდ დაკავშირებული, მსხვერპლისთვის ძალიან მნიშვნელოვანია აგრესორის შერცხვენა. ამ შემთხვევაში, ჰერმანის გამოთქმით, აგრესორი მსხვერპლის „სირცხვილის ტვირთს“ ინაწილებს, რაც მას მდგომარეობას უმსუბუქებს.

ჰერმანის კვლევის თანახმად, მსხვერპლს ნაკლებად ესაჭიროება (ან, ხშირ შემთხვევაში, არ ესაჭიროება საერთოდ) შურისძიება, აგრესორის დასჯა ან თავისი მხრიდან აგ-

რესორის პატიება – ეს ყველაფერი მისთვის ნაკლებად აქტუალურია. მისთვის გაცილებით მნიშვნელოვანია, რომ მართლმსაჯულების სისტემამ და საზოგადოებამ ხელი შეუწყონ აგრესორს ქცევის იმგვარად ცვლილებაში, რომ იგი მომავალში სხვა ადამიანებისთვის მუქარას აღარ წარმოადგენდეს (Herman 2019).

ტოტალიტარული ტრავმის შემთხვევაში, ტრავმული გამოცდილების გამოგლოვებასა და გამკლავებაში კიდევ უფრო მნიშვნელოვან როლს თამაშობენ კონტექსტუალური სოციო-პოლიტიკური პირობები. ქვემოთ დავახასიათებთ ამ პირობებს და მათი განხორციელების თვალსაზრისით არსებულ მდგომარეობას საქართველოში.

იმისთვის, რათა ტოტალიტარული ტრავმა გამოგლოვილ იქნას, აუცილებელია შემდეგი:

**ტოტალიტარული რეჟიმი დასრულებული უნდა იყოს.** ტოტალიტარული ტრავმისა და შესაბამისი დანაკლისის გამოგლოვება მოქმედი რეჟიმის პირობებში კონფლიქტში შედის ადამიანის/ოჯახის/თემის/საზოგადოების თვითგადარჩენის მოთხოვნილებასთან. არ არის შემთხვევითი, რომ მაგალითად, 1956 წელს დახვრეტილი ადამიანების ოჯახებს ხელისუფლებამ არ მისცა გარდაცვლილების გამოტირებისა და გასვენების რიტუალის საჯაროდ ჩატარების საშუალება. ქართული საზოგადოება არც 1992 წლის 3 იანვარსა და 2 თებერვალს, ედუარდ შევარდნაძის სამხედრო ძალის მეშვეობით ხელისუფლებაში დაბრუნებისა და ზვიად გამსახურდიას გაძევების წინააღმდეგ შეკრებილი მშვიდობიანი მიტინგების დახვრეტაზეა ინფორმირებული. ეს დახვრეტები ტოტალიტარული ინერციის სისხლიანი შედეგი იყო, საზოგადოებას ეს მსხვერპლი დღესაც არ უღიარებია, ხოლო მოკლულთა ოჯახებს კი ვერ გამოუგლოვებიათ.<sup>7</sup>

**სიჩუმის კონსპირაციის გარღვევა.** საზოგადოებამ უნდა დაარღვიოს სიჩუმის კონსპირაცია მომხდარ ძალადობაზე. აქ განსაკუთრებული როლი „გვერდიდან მაყურებელს“ ენიჭება: მან უნდა აღიაროს, რომ რაც მოხდა რეჟიმის დროს, ნამდვილად მოხდა, ნამდვილად ჰქონდა ადგილი. ერთი შეხედვით ეს იმთავითვე გასაგები და იოლად მისაღწევია, მაგრამ სინამდვილეში ძალიან რთული განსაზოციელებელია. მაშინაც კი, როდესაც ხდება ძალადობის აღიარება და გასამართლება, არსებობს საშიშროება იმისა, რომ ესა თუ ის რეაქციული ძალები შეცვლიან ნარატივს და ჩანაცვლებენ მას ცრუ ინფორმაციით. მაგალითისთვის, ყველამ კარგად ვიცით მსოფლიოში გავრცელებული მითი იმის თაობაზე, რომ ჰოლოკოსტი სინამდვილეში არ მომხდარა (Lipstadt 1994).

საბჭოთა რეპრესიების თაობაზე სიჩუმის კონსპირაცია საქართველოში არ დარღვეულა, მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირის დანგრევასა და დამოუკიდებლობის მოპოვებასთან ერთად რეპრესიებზე საუბარი დაიწყო. დაიბეჭდა მსხვერპლთა ოჯახების წევრთა ნარატივების რამდენიმე წიგნი (ქურხული 2004; ჩოლოყაშვილი და სხვ., 2010; მარგველაშვილი და სხვ., 2012), ხდება საკითხის ირგვლივ ჩატარებული კვლევების საჯარო პრეზენტაციები, და ა.შ. მაგრამ, ამ მსჯელობის მასშტაბი შესაძლოა დავახასიათოთ ორლანდო ფიგესის მიერ შემოთავაზებული ცნობილი მეტაფორის (Figs 2008) გამოყენებით: საჯარო სივრცეში და სახელმწიფო დონეზე საბჭოთა რეპრესიებზე მსჯელობა „ჩურჩულის“ ფორმატს ჯერ კიდევ ვერ გაცდა.

7 ამ მიტინგების დარბევისა და მოქალაქეების დაღუპვის თაობაზე ინფორმაცია მედიას საშუალებით არ გავრცელებულა შევარდნაძის მმართველობის პერიოდში; არც შემდგომ დაუთმია მედიას ამ ტრაგედიისთვის სათანადო ყურადღება <https://www.kvirispalitra.ge/public/24434-dakhvretili-mitingebis-saqme.html> (4 დეკემბერი, 2019)

**ტოტალიტარული წარსულის სამეცნიერო შესწავლა.** მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე ისტორიკოსი, ფილოლოგი და უბრალოდ პასუხისმგებლობის გრძობის მქონე მოქალაქე და ასევე, ორგანიზაციები – „საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია“ (SovLab) და „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ (IDFI) – დასავლური დონორების დახმარებით იკვლევენ საბჭოთა რეპრესიებს და ილწვიან საკითხზე სიჩუმის კონსპირაციის დასარღვევად, მოსახლეობა თითქოს ფილტრავს ამ ინფორმაციას, უარყოფს, არ იჯერებს, დეფაქტუალიზაციას უკეთებს, ცდილობს დაივიწყოს. ფსიქოლოგიაში ამას *უარყოფის დაცვის მექანიზმს ვუწოდებთ* (Freud 1936). ფსიქოლოგიური დაცვის მექანიზმები საქმეში ერთვება იქ, სადაც ამა თუ იმ ინტრაფსიქიკურ თუ გარე მოვლენასთან დაკავშირებით არსებობს მალალი შფოთვა. რამდენადაც საბჭოთა რეპრესიების თემა მეტ-ნაკლებად უარყოფილია საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დონეზე (საჯარო ნარატივები, განათლების სისტემა, მეცნიერება, ხელოვნება, მართლმსაჯულების სისტემა და ა.შ.), ესეც იმის დასტურია, რომ თემა მართლაც შფოთვის აღმძვრელია. სავარაუდოდ, ეს შფოთვა უკავშირდება ტოტალიტარულ პერიოდიდან გამოყოფილ უსუსურობის განცდასა და სირცხვილს. სიჩუმის კონსპირაციის შენარჩუნებაში სახელმწიფოს მნიშვნელოვანი როლი მიუძღვის. განსაკუთრებით ნიშანდობლივია ამ მხრივ საკანონმდებლო ბარიერები: ეროვნულ არქივში დაცულ მასალებზე მკვლევრებს, ფაქტობრივად, არა აქვთ წვდომა. საქართველოს კანონი „ეროვნული არქივის და საარქივო ფონდის შესახებ“ კრძალავს „მესამე პირის მიერ“ საარქივო დოკუმენტის გაცნობას მანამ, სანამ დოკუმენტის შექმნიდან არ გავა 75 წელი (Хвадагиани 2016). ამგვარი კანონმდებლობა ისტორიკოსების თანამედროვე თაობის მიერ საბჭოთა პერიოდის შესწავლას, ფაქტობრივად, თითქმის შეუძლებელს ხდის.

**განათლება ტოტალიტარულ წარსულზე.** განათლების სისტემის მიერ ტოტალიტარული წარსულისა და ამ გამოცდილებიდან გამოტანილი შესაბამისი გაკვეთილების საგანმანათლებლო კურიკულუმში ინტეგრირება კრიტიკულად მნიშვნელოვანია. ეს წვლილს შეიტანს, ერთი მხრივ, მომავალში მსგავსი ავთენსებიანი სოციო-პოლიტიკური განვითარების თავიდან აცილებაში; მეორე მხრივ – წარსულზე რეფლექსიაში და ამ გზით – წარსულ ტრავმულ გამოცდილებასთან გამკლავებაში. მაგრამ საქართველოს განათლების სისტემა არ ახდენს საბჭოთა კვლევის ლაბორატორიისა და რამდენიმე სხვა პროფესიონალის მიერ მოპოვებული/ნაკვლევი ინფორმაციის ინტეგრირებას სასკოლო კურიკულუმში. ამის გამო, ახალგაზრდა თაობამ, ფაქტობრივად, არ იცის ქვეყნის უახლესი ისტორია. თავის ერთ-ერთ პუბლიკაციაში, ისტორიკოსი ირაკლი ხვადაგიანი აღწერს, თუ როგორ განიხილა საქართველოში, უმაღლეს სასწავლებელში მისაღებ გამოცდებზე, აბიტურიენტების უმრავლესობამ, ოჯახის წევრის მიერ მეორე წევრის დასმენა უშიშროების სამსახურში, დასავლური მედია-საშუალებების მოსმენის თაობაზე (რაც აკრძალული იყო სსრკ-ს პერიოდში), როგორც ზნეობრივი საქციელი. ისტორიკოსის დასკვნით, ეს მიუთითებს იმას, რომ ახალგაზრდა თაობას არასდროს ჰქონია საშუალება მიეღო საკმარისი ინფორმაცია და რეფლექსია გაეკეთებინა ტოტალიტარულ წარსულზე (Хвадагиани 2016).

**ლუსტრაცია.** ეს წარსულთან გამკლავების უმნიშვნელოვანესი პირობაა, რამდენადაც, ერთი მხრივ, ახდენს დამნაშავეთა დასჯას და მეორე მხრივ – ამცირებს მომავალი ავთენსებიანი განვითარების ალბათობას. აგრესორის დაუსჯელობა არც აგრესორის მხრიდან შემდგომი დანაშაულის პრევენციაში ეხმარება საზოგადოებას, არც მსხვერპლს ეხმარება გამოგლოვებასა და ტრავმასთან გამკლავებაში, აწმყო და მომავლის ამოცანებზე კონცენ-

ტრავმაში. ეს მსხვერპლს უკარგავს სამართლიანობის მიღწევის იმედს და მას ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური იზოლაციისკენ უბიძგებს: არა მარტო მათგან, ვინც ზიანი მიაყენა, არამედ ზოგადად საზოგადოებრივი ცხოვრებიდან, სოციალური აქტივობიდან და ფაქტობრივად, ე.წ. დასწავლილი უსუსურობის<sup>8</sup> ერთ-ერთი რისკფაქტორი ხდება.

საქართველოში, დამოუკიდებლობის პირველ წელს, პრეზიდენტი ზვიად გამსახურდიას მმართველობისას, ლუსტრაციის ჩატარება ვერ მოესწრო: როგორც ქვეყანა, ასევე მოსახლეობაც და ხელისუფლებაც თვითგადარჩენის რეჟიმში იყვნენ და აწმყო მწვავე პრობლემების გადაწყვეტიდან ყურადღება ვერ გადაიტანეს წარსულთან გამკლავებაზე. შეიარაღებული კონფლიქტის გზით ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლებაში მოსვლასთან ერთად, ლუსტრაციაზე მსჯელობა დიდი ხნით შეწყდა, რამდენადაც შევარდნაძე თავად რეპრესიული ტოტალიტარული რეჟიმის წარმომადგენელი იყო. მისი მმართველობისას ლუსტრაცია ამოღებულ იქნა ეროვნული დღის წესრიგიდან. ეს მით უმეტეს ადვილად გამოვიდა, რამდენადაც სამოქალაქო ომის დროს საბჭოთა უშიშროების საარქივო მასალა, ფაქტობრივად, გაქრა.<sup>9</sup>

ლუსტრაცია, როგორც ერთ-ერთი საკვანძო ნაბიჯი, ჰქონდა შეტანილი ნაციონალურ მოძრაობას თავის საპროგრამო დოკუმენტში „10 ნაბიჯი თავისუფლებისკენ“ თუმცა, ხელისუფლებაში მოსვლის შემდგომ, მათ უსასრულოდ გააჭიანურეს შესაბამისი ინსტიტუციური მექანიზმების შექმნა და უკვე თავისი მმართველობის ბოლოს, მიიღეს კანონმდებლობა, რომელიც მნიშვნელოვან დახვეწას საჭიროებდა. 2013 წელს, უკვე „ქართული ოცნების“ მმართველობის პერიოდში, კანონი დაიხვეწა, თუმცა, მისი აღსრულების მექანიზმები ქვეყანაში არასდროს შემუშავებულა, რამდენადაც 2013 წლის შემდგომ ლუსტრაცია კვლავ ამოღებულ იქნა ქვეყნის პოლიტიკური დღის წესრიგიდან. მთელი რიგი პოლიტიკური, მაგრამ ასევე ფსიქოლოგიური მიზეზით, „ქართული ოცნების“ ხელისუფლების მიერ წარსულის აღქმა შევიწროვდა და ვერ გაცდა ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებაში ყოფნის ცხრაწლიან ეპიზოდს. ფსიქოლოგიურ პრაქტიკაში აღწერილია დროითი პერსპექტივის ამგვარი შეჭმუხვნა/„დამოკლება“; როგორც კრიზისის მდგომარეობაში მყოფი ჯგუფის მახასიათებელი (ჯავახიშვილი და სარჯველაძე 2004; ჯავახიშვილი 2018).

ტოტალიტარული ძალადობის აღწერილი უარყოფის ფონზე, რეჟიმის წარმომადგენელები და მათი შთამომავლები ცდილობენ შეცვალონ ნარატივი. ისტორიკოსი ოლივერ რაისნერი თავის ერთ-ერთ პუბლიკაციაში აღწერს ამ ტენდენციას იმის მაგალითზე, თუ როგორ დაწერა წიგნი, რომელშიც გამოიყვანა სტალინის პერიოდის ერთ-ერთი ყველაზე სისხლიანი სადამსჯელო ოპერაციის ხელმძღვანელი ქვეყნის მოამაგედ და „დიდ ჰუმანისტად“ მისივე ოჯახის წევრმა (იუნგე, რაისნერი და ბონვეჩი 2015).

**აღდგენითი მართლმსაჯულების მიდგომა.** როდესაც საქმე ტოტალიტარულ რეჟიმთან გვაქვს, აქ მანკიერი ძალადობრივი ურთიერთობების ჯაჭვში მთელი საზოგადოებაა ჩარ-

8 სელიგმანის კონცეპტი, რომელიც გულისხმობს, რომ თუ ადამიანი ან ცხოველი ისეთ პირობებშია, სადაც ის ვერ აკონტროლებს გარშემომყოფ სინამდვილეს და ეს დიდი ხნის მანძილზე გრძელდება, ის დაისწავლის უსუსურობას და უკვე ისეთ სიტუაციებში გამოავლენს უსუსურ ქცევას, სადაც, რომ ემოქმედა, ცვლილება შესაძლებელი იქნებოდა (Maier and Seligman 2016).

9 ერთ-ერთი ვერსიის თანახმად, დოკუმენტაცია დაიწვა, თუმცა ინახებოდა პარლამენტის სარდაფის ცეცხლგაუმტარ კარადაში; სხვა ვერსიის თანახმად, არქივები გატანილ იქნა რუსეთში [http://www.idfi.ge/archive/?cat=read\\_topic&topic=141&lang=ka](http://www.idfi.ge/archive/?cat=read_topic&topic=141&lang=ka) (05.01.2020)

თული და ზიანის მასშტაბი ძალიან დიდია. ამიტომ, პოსტტოტალიტარულ პერიოდში აუცილებელია მართლმსაჯულების ისეთი მიდგომის გამოყენება, რომელიც საზოგადოების ყველა სუბიექტისა და მათი ურთიერთობების გაჯანსაღებაზე იქნება მიმართული. აღდგენითი მართლმსაჯულების მიდგომა არ გამოირიცხავს დასჯას, მაგრამ მიმართულია დანაშაულისა და ზიანის აღიარებაზე, აგრესორის მიერ დანაშაულის გაცნობიერებაზე, მსხვერპლის რესტიტუციაზე, რეაბილიტაციაზე, როგორც მსხვერპლის ფსიქიკური ჯანმრთელობისა და სოციალური საჭიროებების დაკმაყოფილებაზე; ასევე, აგრესორის ფსიქიკური ჯანმრთელობისა და სოციალური საჭიროებების დაკმაყოფილებაზე – დანაშაულის შემდგომში პრევენციის მიზნით. ზოგადად, აღდგენითი მართლმსაჯულება ემსახურება საზოგადოების განკურნებასა და გაჯანსაღებას (რაც კრიტიკულად მნიშვნელოვანია პოსტტოტალიტარულ პერიოდში. მაგრამ საბჭოთა კავშირის დანგრევისა და დამოუკიდებლობის დაბრუნების შემდეგ, აღდგენითი მართლმსაჯულების კულტურა, ტრადიცია და ცნობიერება ქვეყანაში არ არსებობდა. ამჟამად ეს მიდგომა წარმატებით ინერგება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში, ასევე, დაიწყო ზრდასრულთა სისხლის სამართლის საქმეების ამ კუთხით განხილვაც (ერცენი, ჯავახიშვილი და ჯავახიშვილი 2020). მაგრამ ერთი პოლიტიკური სისტემიდან მეორეზე გადასვლისა თუ ერთი ხელისუფლების მეორეთი ცვლილების მომენტში ამ მიდგომის ქვეყანაში გამოყენების პრეცედენტი ჯერ არ გვქონია.

**სიმბოლიზაცია და მემორიზაცია.** საზოგადოების მხრიდან სიჩუმის კონსპირაციის გარღვევის ერთ-ერთი მეთოდი წარსულის მემორიზაცია და სიმბოლიზაციაა – მუზეუმებში, ხელოვნების ნაწარმოებებში (სკულპტურებში, ნახატებში, პერფორმანსებში და ა.შ.). დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში ეს არა თუ ვერ მოხერხდა, სტალინის ძეგლის საბოლოო დეკონსტრუქციაც კი ჯერ კიდევ ღიად რჩება. რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის შემდგომ გორის ცენტრალურ მოედანზე მდგარი სტალინის ძეგლი მოიხსნა გვიან ღამით, რათა მოქალაქეებს არ გაეგოთ და წინააღმდეგობა არ გაეწიათ. თუმცა, დესტალინიზაცია წარსულზე რეფლექსიის გარეშე, სიჩუმის კონსპირაციის ფონზე ვერ მოხერხდა. ამიტომ, 2013 წელს, ქართული ოცნების ხელისუფლებაში მოსვლიდან მალევე, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში დაიწყო სტალინის ძეგლების სპონტანური დაბრუნება თავის კვარცხლბეკებზე<sup>10</sup>. პარალელურად, ხდებოდა მობრუნებული ძეგლების სხვადასხვა ფერის საღებავით შებლავა, ჩამოგდება და ა.შ. სტალინის ძეგლების გარშემო მიმდინარე ეს ურთიერთსაპირისპირო ქმედებები საზოგადოების შიგნით არსებულ ურთიერთსაწინააღმდეგოდ მიმართულ ტოტალიტარულ და დემოკრატიულ ძალთა ჭიდილის ერთგვარი სიმბოლური გამოხატულება იყო. ამავე პერიოდში, კულტურის სამინისტრომ შეკრიბა საზოგადო მოღვაწეთა და მეცნიერთა სპეციალური ჯგუფი, რომელიც ოფიციალური ვერსიით „სტალინის მუზეუმის რეფორმის“ იდეაზე მუშაობდა. მალევე გახდა ცხადი, რომ ჯგუფი სინამდვილეში გორში სტალინის ძეგლის რეინსტალაციისა და სტალინის მუზეუმის უწინდელი სახით შენარჩუნების მიზნით იყო შეკრებილი და ამისთვის ისეთ გზებს ეძებდა, რომ მოსახლეობის არც ერთი ნაწილი არ გაენაწყენებინა. 2012-2013 წლებში ჩატარებული კვლევის თანახმად, სტალინისა და შესაბამისად, ტოტალიტარული წარსულის მიმართ ნოსტალგიურად განწყობილი იყო საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით ერთი მესამედი (დე ვალი და სხვ., 2013).

10 2013 წელს, თავის უწინდელ ადგილზე არა, მაგრამ გორში საკმაოდ საპატიო ადგილზე დაბრუნდა ცენტრალურ მოედანზე რამდენიმე წლით ადრე ღამით მოხსნილი სტალინის ფიგურაც.

როცა წარსულის გასაღები დაკარგულია: ტრავმის კვალი პოსტოტალიტარულ საქართველოში

საბჭოთა წარსულის მემორიზაციასა და რეფლექსიაში წვლილის შეტანის პოტენცი-  
ალი ჰქონდა ნაციონალური მოძრაობის მმართველობის პერიოდში დაარსებულ ოკუპა-  
ციის მუზეუმს. მაგრამ, რამდენადაც მუზეუმის ექსპოზიცია, ძირითადად, ოკუპაციაზე იყო  
ფოკუსირებული და არა წარსულ რეპრესიებში თავად ქართული საზოგადოების წარმო-  
მადგენელთა წვლილზე, მუზეუმმა ვერ გაარღვია სიჩუმის კონსპირაცია და ვერ შეასრულა  
წარსულზე რეფლექსიის ბიძგის მიმცემი ფუნქცია.

\* \* \*

დასკვნის სახით, შესაძლებელია ითქვას, რომ საქართველოში, ტოტალიტარული  
ტრავმის გამოგლოვებისთვის აუცილებელი, ზემოთ აღწერილი პირობებიდან სრულფა-  
სოვნად ვერც ერთი ვერ განხორციელდა, რაც ართულებს ტოტალიტარულ ტრავმასთან  
გამკლავებას. გამოუგლოვებელი ტრავმული შინაარსები, შესაბამისად, განდევნილია სა-  
ზოგადოებრივი ცნობიერებიდან, და ინახება, ინკაფსულირებული უკონტროლო ფრაგმენ-  
ტების სახით, არაცნობიერ ფსიქიკურ ველში. აქ ისინი, პრაქტიკულად, არაკონტროლირე-  
ბადია და მიუწვდომელია გამოგლოვებისთვის.

გამოუგლოვებელი ტოტალიტარული ტრავმა საზოგადოებრივი ცხოვრების დონეზე  
თავს იჩენს, ერთი მხრივ, გლოვის არაავთენტური (ჰოფფერის ტერმინოლოგიით რომ ვიმ-  
სჯელოთ – პათოლოგიური) ფორმების სახით, ხოლო მეორე მხრივ – გაქრობის შიშთან  
დაკავშირებულ საბაზო დამცვებზე დაფუძნებული საზოგადოებრივი ცხოვრების დინა-  
მიკის სახით. ქვემოთ აღწერ ორივე ამ პრობლემურ განვითარებასთან დაკავშირებულ  
ფენომენებს.

ჰოფფერი გამოყოფს გლოვის სამ პათოლოგიურ ფორმას (Hopper 2003):

*სენტიმენტალური გლოვა* წარმოადგენს სენტიმენტალურ, ნარცისტულ, მაზოხისტურ  
გოდებას დაკარგული ობიექტის გამო, გაზავებულს ოპტიმისტური კლიშეებით. სენტიმენ-  
ტალური გლოვის მაგალითია 9 აპრილის საპასუხოდ შექმნილი სიმღერა „ვაჩუქოთ ერთ-  
მანეთს ტიტები“ და მისი ტირაჟირება. სენტიმენტალური გლოვის თვალსაზრისით, განსა-  
კუთრებით საინტერესოა 9 აპრილს მოწამლულთა ფენომენი – ბევრი ადამიანი მართლაც  
მოიწამლა აპრილის დღეებში გაზით და საჭიროებდა სამედიცინო ჩარევას, მაგრამ „მო-  
წამლულთა“ დიდ ნაწილს ფსიქოლოგიური ხასიათის ჩივილები ჰქონდათ და ამიტომ ინ-  
ტოქსიკაციის საწინააღმდეგო მკურნალობამ ვერ უშველა და ფსიქიკური ჯანმრთელობის  
პრობლემები წლების მანძილზე გაუგრძელდათ.

*რევანშისტული გლოვა* გულისხმობს გამწარებულობას, აგრესიულობას, პატიების  
უნარისა თუ კეთილი ნების არქონას, სადო-მაზოხისტურ ურთიერთქმედებას მსხვერპლსა  
და აგრესორს შორის, რომლის დროსაც აგრესორი (ან, აღქმული აგრესორი) შესაძლებე-  
ლია მსხვერპლად იქცეს. რევანშისტული გლოვის მაგალითია 2012 წელს, ხელისუფლების  
ცვლილების შემდგომ, ციხიდან გამოშვებული პატიმრების მიერ ყოფილი ხელისუფლების  
დარბევის მცდელობები; ასევე, ქართული ოცნების ხელისუფლების მხრიდან ე.წ. „გამარ-  
ჯვებულის მართლმსაჯულების“<sup>11</sup> მიდგომის განხორციელება არჩევნებში დამარცხებული

11 ტერმინი, რომელიც უფრო ხშირად გამოიყენება საერთაშორისო სისხლის სამართლის საქმეებში, კონ-  
ფლიქტების კონტექსტში (თუმცა, შესაძლოა გამოყენებულ იქნას ლოკალურ კონტექსტებშიც). იგი გუ-  
ლისხმობს, რომ გამარჯვებული მხარე უსამართლოდ ასამართლებს დამარცხებულ მხარეს. მაგ., უსჯის  
დაუმსახურებლად დიდ სასჯელს, მაშინ როცა არ სჯის ან მნიშვნელოვნად უფრო მსუბუქ სასჯელს უსჯის

ხელისუფლების მიმართ, რამაც საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში აღდგენით მართლმსაჯულებას სივრცე არ დაუტოვა.

გამარჯვებულ გლოვას ჰოფფერი აღწერს, როგორც ჰიპომანიაკალურ თავდაცვას და ნაკლისით გამოწვეული შფოთვისგან, დანაკლისის უარყოფას, გამოგლოვების ნაცვლად – ზეიმს, საკუთარი თავის ყოვლისშემძლედ აღქმის ილუზიას. გამარჯვებული გლოვის ტიპური მაგალითია 2008 წლის ომის წაგების შემდგომ თავისუფლების მოედანზე გამართული საზეიმო კონცერტი, რომელმაც ჩვენი ქვეყნის მოქალაქეების ნაწილი დააბნია და აფიქრებინა, რომ ომი კი არ წავაგეთ, არამედ მოვიგეთ.

### **საბაზო დაშვებების არაჯანსაღი დინამიკა საქართველოში**

არაავთენტური გლოვის პატერნების პარალელურად, გამოუგლოვებელი ტოტალიტარული ტრავმა თავს იჩენს სოციო-პოლიტიკური ცხოვრების საბაზო დაშვებებზე დაფუძნებული დინამიკის სახით. სანამ ქართული რეალობის აღწერაზე გადავიდოდე, მოკლედ აღვწერ, თუ რა იგულისხმება ამგვარ დინამიკაში:

ვილფრედ ბიონის თანახმად, ჯგუფური დინამიკა შესაძლოა მიმდინარეობდეს ორგვარი პროცესის საფუძველზე. ერთი პროცესი უფრო დახვეწილი და კომპლექსურია, და მიმართულია განვითარებაზე. ამგვარ დინამიკას Bion-ი „მუშა ჯგუფს“ უწოდებს. მუშა ჯგუფი – ეს არის ინდივიდების ერთობა, ღია სისტემა, რომელთაც აქვთ საერთო მიზანი და შეუძლიათ ითანამშრომლონ როგორც სისტემის შიგნით, ასევე მის გარეთ არსებულ სუბიექტებთან, ამ საერთო მიზნის მისაღწევად. მეორე ტიპის დინამიკა, რომელსაც ბიონი აღწერს, უფრო პრიმიტიულია. აქ ჯგუფი კარგავს მიზნის ცნობიერებას, ეფექტურ კონტაქტს რეალობასთან, მის დინამიკას განსაზღვრავს გაქრობის/ანიჰილაციის შიში და იგი გადადის რეგრესულ მდგომარეობაში, თვითგადარჩენის რეჟიმში. მის დინამიკას განსაზღვრავს მისი გაცნობიერებული თუ გაუცნობიერებელი რწმენა (საბაზო დაშვება) იმის თაობაზე, თუ რა დაეხმარება მას თვითგადარჩენაში. ბიონი სამ საბაზო დაშვებას გამოყოფს: დამოკიდებულების, შებრძოლება-გაქცევისა და გამრავლების. ეარლ ჰოფფერი, ბიონის შრომებზე დაყრდნობით, ამატებს მეოთხე – ე.წ. არაშეჭიდულობის საბაზო დაშვებას. ქვევით დავახასიათებ თითოეულ მათგანს.

დამოკიდებულების საბაზო დაშვება გულისხმობს დიდი ჯგუფის მიერ უსუსურობის განცდასა და თავისი მდგომარეობის გამო პასუხისმგებლობის გადაბარებას ლიდერზე, რომელსაც აღიქვამს როგორც გადამრჩენელსა და ყოვლისშემძლე ალტრუისტს, საზოგადოებისთვის თავდადებულ ერისკაცს. იმ შემთხვევაში, თუ ლიდერი იღებს პასუხისმგებლობას იმაზე, რაზეც ის პასუხისმგებელი ვერ იქნება და ამდენად – ცრუ დაპირებებს იძლევა – ის თავის თავზე განუხორციელებელ მისიას (Mission Imposisble) იღებს. გარკვეული პერიოდის მერე, მოსახლეობას უჩნდება აგრესია მის მიმართ. აგრესიის მიზეზი, ერთი მხრივ – განუხორციელებელი (განუხორციელებადი) დაპირებებია; მეორე მხრივ – საზოგადოების იმანენტური, იმთავითვე მოცემული შური რესურსული ლიდერის მიმართ. ამ მდგომარეობაში, საზოგადოების ნაწილი მზადაა მოკლას ლიდერი, ან სიმბოლურად იმეტებს მას სასიკვდილოდ (მაგ., აქცევს მას „პოლიტიკურ გვამად“ ან აღიქვამს ასეთად).

გამარჯვებული მხარის ანუ, თავისივე წარმომადგენლებს, იმავე კატეგორიისა და სიმძიმის დანაშაულის გამო. ეს მართლმსაჯულების პროცესს, ფაქტობრივად, ლეგიტიმიზებულ ვენდეტად აქცევს (Miner 1971).

ამ ეტაპზე იწყება საზოგადოების გაყოფა ორ ბანაკად: ძველი ლიდერის მომხრეები და ახალი ლიდერის (თუ ამგვარი გაჩნდა) მომხრეები, რომლებსაც ძველი ლიდერის გაგდება (სიმბოლური თუ ფიზიკური მოკვლა) უნდათ. საბაზო დაშვება აქ იმაში მდგომარეობს, რომ თუ ერთ-ერთ მხარეს (ძველი ლიდერის მომხრეთათვის – ახალ ლიდერს, ხოლო ახალი ლიდერის მომხრეთათვის – ძველს) მოიშორებენ, მაშინ „ყველაფერი კარგად იქნება!“ მხარეები უპირისპირდებიან ერთმანეთს და ბრძოლის რეჟიმში გადადიან, ერთ-ერთი მხარე იმარჯვებს, მეორე – გარბის ან სიმბოლურად, ან ფაქტობრივად, ან რჩება სოციო-პოლიტიკურ ველში და საზოგადოება, ფაქტობრივად, ორპოლუსიანი ხდება. ამგვარი დინამიკა *შებრძოლება-გაქცევის საბაზო დაშვებას შეესაბამება*. აქ საზოგადოების ორივე პოლუსი აკეთებს თავისთვის მიუღებელი საკუთარი თვისებების პროექციებას მეორე მხარეზე და ოპონენტში, ფაქტობრივად, საკუთარი მიუღებელი ნაწილი სძულს. ამდენად, მხარეები ხშირად სარკისებურად ირეკლავენ ერთმანეთს. თუ ადამიანი/ადამიანთა ჯგუფი არ იზიარებს ამ ორი პოლუსიდან ერთ-ერთის პოზიციას, ორივე მხარე შეუწყნარებელია მის მიმართ, რამდენადაც მათი პოზიციას „ვინც ჩემთან არ არის, ის ჩემ წინააღმდეგაა.“ *შებრძოლება-გაქცევა*, ისევე როგორც *დამოკიდებულების საბაზო დაშვება* – ნარცისტული რეგრესის საფუძველზე განვითარებული ჯგუფური პოზიციებია. ამ დროს ჯგუფი კარგავს ეფექტურ კონტაქტს რეალობასთან, ის ვეღარ ითვალისწინებს მას; დიდი ჯგუფების ფსიქოანალიტიკოსების მიხედვით ამ დროს ჯგუფი, ფაქტობრივად, კოლექტიური ფსიქოზის მდგომარეობაშია (Hopper 2003; Volkan 2009b).

მესამე – ე.წ. *გამრავლების საბაზო დაშვება* გულისხმობს იმას, რომ საზოგადოება გაქრობის შიშს ცდილობს გაუმკლავდეს რწმენით, რომ მას „გამრავლება გადაარჩენს“. ამ საბაზო დაშვებით მიმდინარე საზოგადოებრივი დინამიკა ახალისებს წევრების გამრავლებას და ამ გზით ცდილობს „გადაარჩენას“. ეს შესაძლოა იყოს რომელიმე კონკრეტულ წყვილ(ებ) ის გამრავლებაზე ფსონის დადება, ან ზოგადად შობადობის წახალისება.

მეოთხე საბაზო დაშვება – *არაშეჭიდულობისა* – აღწერილ სამ დაშვებაზე უფრო არქაულია და უფრო ღრმა რეგრესს გულისხმობს. აქ დიდი ჯგუფი კარგავს სოციალური ქსოვილის სტრუქტურას და ან ჰომოგენურ მასად იქცევა, ან ამის საპირისპიროდ – უკიდურესად დანაწევრებულ ფრაგმენტებად, სადაც ყველა ერთმანეთს ეჩხუბება. პირველ შემთხვევაში, ადგილი აქვს ე.წ. მასსიფიკაციის საბაზო დაშვებას: აქ ხდება მოსახლეობის გაჰომოგენურება. განსხვავებული (ნორმების, ორიენტაციის, ფასეულობების) ადამიანების მიმართ მასსიფიცირებული ჯგუფი უკიდურესად შეუწყნარებელია და შესაძლოა ჩაქოლოს – სიმბოლურად თუ რეალურად. ამგვარი შეუწყნარებლობის ფონზე, შესაძლოა ადგილი ჰქონდეს ძალადობრივ ქმედებას. მასსიფიკაციის საპირისპიროდ, აგრეგაციის საბაზო დაშვება გულისხმობს საზოგადოებრივი ქსოვილის სრულ რღვევას, მის „დაფლეთას“ სხვადასხვა ურთიერთდაპირისპირებულ, ურთიერთწაკიდებულ ფრაგმენტებად.

თუ უკანასკნელი 30 წლის მანძილზე საქართველოს სოციო-პოლიტიკური ცხოვრების დინამიკას დავაკვირდებით, არ არის რთული აღწერილი საბაზო დაშვებების თვალის მიდევნება. ასევე, პერიოდულად, მუშა ჯგუფის მდგომარეობასაც შეგვიძლია მივადევნოთ თვალი – კერძოდ, ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებაში მოსვლის პირველ წლებში, კორუფციასთან ბრძოლისა და სახელმწიფო ინსტიტუტების გამართვის პერიოდში.

*დამოკიდებულების საბაზო დაშვება* კარგად იკვეთებოდა ზვიად გამსახურდიას პერიოდში – ფსონის დადება ლიდერზე, მასზე სრული დამოკიდებულება, ამგვარად საკუ-

თარი პასუხისმგებლობიდან გაქცევა და ჭარბი არარეალისტური მოლოდინები ლიდერის მიმართ. იმედგაცრუება მალევე დადგა და შევარდნაძის გამოჩენასთან ერთად, გამოიკვეთა *შებრძოლება-გაქცევის* საბაზო დაშვება – საზოგადოების დაყოფა „ზვიადისტებად“ და „შევარდნაძისტებად“ და სამოქალაქო ომი. 2003 წელს მოსული ერთიანი ნაციონალური მოძრაობის გარშემო საზოგადოება, რომელმაც ჩათვალა, რომ „კმარა!“ (არაჯანსაღი, კორუმპირებული ყოფა), მუშა მდგომარეობაში მობილიზდა, მაგრამ ხელისუფლების მხრიდან ავტორიტარული მართვის რეჟიმში გადასვლასთან ერთად საზოგადოება კვლავ რეგრესულ მდგომარეობაში წავიდა. 2012 წლისთვის ქვეყნის სოციო-პოლიტიკური ცხოვრების დინამიკა *შებრძოლება-გაქცევის* საბაზო დაშვებაზე გადავიდა, რაც შემდგომი 8 წლის მანძილზე „ქოცებისა“ და „ნაცების“ არაჯანსაღ ორპოლუსიან სიძულვილით გაჯერებულ თანაარსებობაში გადაიზარდა. შეიქმნა ტოტალიტარული სამკუთხედის ერთგვარი ანალოგი: ე.წ. „ქოცები“, „ნაცები“ და „შუაშისტები“. თუმცა, საზოგადოებაში, გარდა ამ სამი კატეგორიისა, ყოველთვის იყო და არის ის ნაწილი, რომელიც არც ერთ პოზიციას არ იზიარებს, არ არის განურჩეველი გვერდიდან მაყურებელი და ცდილობს რეალობა შეცვალოს (მუშა-ჯგუფის პოზიციიდან). ხშირად ამგვარი ხალხი უკიდურეს პოლუსებზე დანაწილებულთა მიერ, ასევე, „შუაშისტებად“ აღიქმება, თუმცა მათ შორის მნიშვნელოვანი სხვაობაა: ე.წ. „შუაშისტი“ არ ერევა და არ ცდილობს შეცვალოს არსებული ყოფა (დასწავლილი უსუსურობისა თუ სინამდვილის უარყოფის დაცვის მექანიზმის მოქმედების გამო), მაშინ როდესაც მუშა-ჯგუფის პოზიციაში მყოფი მოქალაქეები ცდილობენ მიუკერძოებლები იყვნენ და წვლილი შეიტანონ არაჯანსაღი სიტუაციის ცვლილებაში.

ქვეყნის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სუბიექტი – საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, როგორც დამოკიდებულების დაშვებით მიმდინარე დინამიკის, ასევე *შებრძოლება-გაქცევის* საბაზო დაშვებით მიმდინარე დინამიკის შემთხვევაში, ერთგვარი კატალიზატორის როლს ასრულებს ხოლმე, გარკვეულ მხარეს იჭერს და მრევლსაც შესაბამის გზავნილებს უგზავნის. მაგალითად, მრევლის წევრები იხსენებენ 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინ კათალიკოს-პატრიარქის მიერ ქადაგების დროს სამების საკათედრო ტაძარში წარმოთქმულ ფრაზას „წიწიბურას მიეძალეთ“ (ჩახნაშვილი 2017). ასევე, კარგად არის ცნობილი ეკლესიის მობილიზაცია ერთიანი ნაციონალური მოძრაობის საწინააღმდეგოდ და „ქართული ოცნების“ მხარდასაჭერად 2012 წლის არჩევნების წინ, მაგ.: „დაგმე მიშა“ და სხვა მოწოდებები.

*გამრავლების საბაზო დაშვების* ძირითადი პროტაგონისტი, ასევე, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია და პირადად, კათოლიკოს-პატრიარქია, რომელმაც 2008 წლიდან, ქვეყანაში შობადობის ზრდის მიზნით, შემოიღო ოჯახში ყოველი მესამე (და შემდგომ უკვე მეოთხე) ბავშვის ნათლობის ინიციატივა და ასევე, დააქორწინა ბაგრატიონების გვარის წარმომადგენლები არარსებული სამეფო ტახტის მემკვიდრის გასაჩინად.

რაც შეეხება მეოთხე – *არაშეჭიდულობის საბაზო დაშვებას*, მასსიფიკაციის სცენარი პერიოდულად იჩენს თავს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მრევლის სახით. განსაკუთრებით თვალხილული ის ხდება ხოლმე ისეთ სიტუაციებში, რომელსაც ეკლესია „ქართველობის გაქრობის“ საფრთხედ აღიქვამს (მაგალითისთვის, გავიხსენოთ 2013 წლის 17 მაისს მრევლის მობილიზება სექსუალურ უმცირესობათა დემონსტრაციის დასარბევად, ან – ანტიდისკრიმინაციული კანონის წინააღმდეგ ქუჩებში ხელმოწერების შეგროვება და ა.შ.).

როცა წარსულის გასაღები დაკარგულია: ტრავმის კვალი პოსტოტალიტარულ საქართველოში

რაც შეეხება აგრეგაციის საბაზო დაშვებას, მან მთელი თავისი სიცხადით იჩინა თავი 2018-2019 წლებში – რაც დაიწყო განხეთქილებით ორად გახლეჩილი საზოგადოების ორივე პოლუსში – როგორც პოლიტიკურ ოპოზიციამში, ასევე მმართველ პარტიასა და ეკლესიამში, სადაც კულმინაციას მიაღწია სტატიის დასაწყისში ნახსენებ 2019 წლის 31 ოქტომბერს.

### **ტოტალიტარული ტრავმის გავლენა ინდივიდუალურ და ოჯახის დონეზე**

კვლევის მეორე კომპონენტმა, რომელიც რეპრესირებულთა ოჯახების წევრებთან ჩალრმავებულ ინტერვიუებს გულისხმობდა, ყურადღება გაამახვილა ტოტალიტარული ტრავმის გავლენაზე ინდივიდუალურ და ოჯახურ დონეზე, და მის თაობიდან თაობაში გადაცემაზე. ქვემოთ გადმოვცემ კვლევის ამ კომპონენტის ზოგიერთ შედეგს<sup>12</sup> (ჯავახიშვილი 2018).

**ბავშვობის ნეგატიური გამოცდილებები.** დავიწყებ რეპრესირებულთა მეორე თაობაზე მოქმედი სტრესორების სისტემის აღწერით. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სტრესორი, რომელიც 3 წელზე მეტი ხნის უკლებლივ ყველა რესპონდენტს ახსოვდა, იყო თავად მშობლ(ებ)ის დაპატიმრების ფაქტი. ამ სტრესორმა ზოგიერთ რესპონდენტზე ისეთი ზეგავლენა მოახდინა, რომ მათ სიბერემდე გაჰყვათ პანიკის შეტევები ღამით მათ შენობასთან გაჩერებული მანქანის მუხრუჭის ხმაზე საპასუხოდ. გარდა ამისა, მშობლ(ებ)ის დაპატიმრებასთან ერთად, რესპონდენტებს საბავშვო ბაღსა თუ სკოლაში უმაღლეს ედებოდათ „ხალხის მტრის“ შვილის სტიგმა, რაც დაკავშირებული იყო მთელ რიგ სოციალურ პრობლემებთან და ხშირ შემთხვევაში – დისკრიმინაციასთან. როგორც ვიცით, ბავშვის რეაგირება მატრავმირებელ სტრესორებზე დამოკიდებულია მშობლ(ებ)ის რეაგირებაზე (Cohen 2006). ზოგიერთ შემთხვევაში, თუ ორივე მშობელი რეპრესირებული იყო, ბავშვებისთვის დამატებითი ტრავმა იყო ან ბავშვთა სახლში მიბარების პერსპექტივა, ან კეთილი ნათესავის მიერ შეფარების შემთხვევაში – ახალ საცხოვრებელ გარემოსთან და ადამიანებთან შეგუება. თუ ერთ-ერთი მშობელი (უფრო ხშირად – დედა) გადაურჩებოდა რეპრესიას, ის, როგორც რესპონდენტების ნარატივებიდან იკვეთება – დეპრესიული, შფოთვით მოცული, ხშირად სომატური დაავადებების მიმართ მოწყვლადი და დაავადყოფილი იყო და ეს არ ეხმარებოდა რეპრესირებულთა შვილებს, გამკლავებოდნენ ტრავმულ გამოცდილებას.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ რეპრესირებულთა შვილები – მეორე თაობა – ბავშვობის ასაკში ექვემდებარებოდნენ მატრავმირებელ სტრესორთა ისეთ კომპლექსურ სისტემას, რასაც დღეს „ბავშვობის ნეგატიურ გამოცდილებებს“ ვუწოდებთ და რომელიც მნიშვნელოვან რისკფაქტორებს ქმნის ადამიანის ჯანსაღი განვითარების გზაზე. აქ უფრო მაღალია ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების წარმოშობის რისკი, სარისკო ქცევის განხორციელების ალბათობა (ნივთიერებების ავადმომარების ჩათვლით), ამასთან დაკავშირებული დაავადებები და შესაბამისად, ნაადრევი გარდაცვალება (Felitty et al, 1998). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბავშვობის მძიმე გამოცდილებები არ არის განაჩენი – ის, თუ როგორ გაუმკლავდება მათ ადამიანი, დამოკიდებულია მის ცხოვრებაში არსებული რისკისა და დაცვითი ფაქტორების დინამიკურ ურთიერთქმედებაზე.

12 მოცემულ თავში მოტანილი ანალიზი ეყრდნობა ჯანა ჯავახიშვილის გამოუქვეყნებელ სადოქტორო დისერტაციას, რომელიც შეგიძლიათ იხილოთ აქ: <http://iliauni.edu.ge/uploads/other/47/47369.pdf>

**გამკლავების ფაქტორები.** ის, თუ როგორ უმკლავდებოდა თითოეული რესპონდენტი სტრესორთა ამ კომპლექსურ სისტემას, დამოკიდებული იყო ფაქტორთა მთელ რიგზე: რამდენი (ერთი, ორი თუ მეტი) ოჯახის წევრი იყო რეპრესირებული, რა ასაკში იყო მეორე თაობის წარმომადგენელი რეპრესიის მომენტში, რამდენად ფუნქციური იყო ოჯახი რეპრესიამდე, ჰყავდა თუ არა და-ძმა, ვისთან იზრდებოდა რეპრესიის შემდგომ, თუ რეპრესიას გადარჩენილ მშობელთან – როგორ უმკლავდებოდა რეპრესიასთან დაკავშირებულ ტრავმას ეს მშობელი, რამდენად ჯანმრთელი იყო იგი ფსიქიკურად, ფიზიკურად, რამდენად შესაძლებელი იყო ოჯახში რეპრესიაზე საუბარი (იყო ამ თემაზე ღუმილი, თუ პირიქით – ზეჭარბი ინტენსიური ემოციური სტრესოგენური გაზიარება, თუ – რეფლექსიური საუბრის შესაძლებლობა და შესაბამისად, რეფლექსიის ხელშეწყობა); ასევე, უაღრესად მნიშვნელოვანი იყო, თუ რამდენად შენარჩუნებული ყავდა ოჯახს მხარდამჭერი ნათესავები, მეზობლები, რამდენად ბედავდნენ მხარდამჭერები მათთან ურთიერთობასა და დახმარებას. არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო, თუ რამდენი „ხალხის მტრის შვილი“ სწავლობდა ბავშვის კლასში – თუ რამდენიმე, საუკეთესო შემთხვევაში – ბევრი, მაშინ რეპრესიის პრობლემა ნაკლებ სტიგმატიზებული იყო და ეს აადვილებდა სტრესთან გამკლავებას.

**დიქტომიური სამყარო.** თავისი წარსულიდან, თითოეულმა ცდის პირმა აღწერა გარემომცველი სოციალური სამყაროს დიქტომიურად განცდის ფენომენოლოგია. ეს იწყებოდა, მაგ., რეპრესირებული მამის მიმართ დამოკიდებულებიდან. ერთი მხრივ, რესპონდენტები აიდილებდნენ მამას, იხსენებდნენ როგორც საუკეთესო პიროვნებას, შეუღარებელს. მეორე მხრივ, იხსენებდნენ, თუ როგორ ეპარებოდათ ეჭვი მის წესიერებაში მანამ, სანამ ოფიციალურად არ შეიტყეს (რეაბილიტაციის დოკუმენტიდან) მისი უდანაშაულობის შესახებ.

ასევე, ცხადად იკვეთება რესპონდენტებისგან სამყაროს დაყოფა „ცუდებად“ და „კარგებად“, რაც ზოგადად ტოტალიტარული პერიოდისთვის დამახასიათებელი იყო ყველა დონეზე და გამოხატავდა საზოგადოების რეგრესირებულ (ინფანტილურ) მდგომარეობას. ფსიქოანალიტიკოსი მელანი კლენინი გამოყოფს ადამიანის განვითარების ორ ეტაპს – ერთს, შედარებით ინფანტილურს იგი უწოდებს *პარანოიკალურ-შიზოიდურ პოზიციას*. ეს ჩვილის მიერ სამყაროს ისეთი აღქმაა, სადაც კარგი და ცუდი ერთმანეთისგან დამოუკიდებლად არსებობს – ვთქვათ, თუ დედის მკერდში რძეა – ის კარგი ობიექტია, მაგრამ თუ მასში რძე არ არის, ის ცუდი ობიექტია და ბავშვს, ფაქტობრივად, არა აქვს მკერდის იგივეობრიობის განცდა. მაშინ, როდესაც ბავშვს უჩნდება იმის ცნობიერება, რომ მიუხედავად იმისა, არის მასში რძე თუ არა – ეს ერთი და იგივე მკერდია, ანუ როდესაც მას უჩნდება ცნობიერება იმისა, რომ ობიექტი შესაძლოა იყოს ცუდიც და კარგიც ერთსა და იმავე დროს, იგი გადადის ე.წ. *დეპრესიულ პოზიციაში*, რაც განვითარების უფრო მაღალი ეტაპია. მიუხედავად იმისა, გაივლის თუ არა ნორმალური განვითარების ამ ორ ეტაპს ადამიანი, გარკვეულ მადევრადირებულ/მატრავმირებულ სიტუაციებში იგი შესაძლოა კვლავ პარანოიკალურ-შიზოიდურ პოზიციაზე დაბრუნდეს. ტოტალიტარული სისტემა არ აძლევს ადამიანს საშუალებას რომ პარანოიკალურ-შიზოიდურ პოზიციას გასცდეს და მუდმივად დიქტომიურ აზროვნებაში ამყოფებს მას, რაც კარგად დავინახეთ მოცემული სტატიის წინა თავში („ზვიადისტები“ vs „პუტჩისტები“; „ქოცები“ vs „ნაცები“ და ა.შ.).

**ადაპტაციისუნარიანობის პარადოქსული სტრატეგიები.** აღწერილ დიქტომიურობაზე საპასუხოდ, მეორე თაობის წარმომადგენლებს უვითარდებოდათ ადაპტაციისუ-

წარსულის <sup>13</sup> პარადოქსული სტრატეგიები, რაც, უნდა ვიფიქროთ, იყო ნორმალური რეაქცია ტოტალიტარული სიტუაციის არანორმალურ მოცემულობაზე და მაქსიმალურად ეხმარებოდა გადარჩენაში. ქვემოთ დავახასიათებთ მეორე თაობის ზოგიერთ ამგვარ სტრატეგიას:

- ერთი მხრივ – საუკეთესო მოსწავლედ ყოფნის მისწრაფება და წარჩინებული სწავლა, და მეორე მხრივ – სურვილი არ ყოფილიყვნენ გამორჩეულნი;
- ზუსტად იგივე ალგორითმი იკითხება პროფესიულ სარბიელზეც: შრომა, პროფესიული დახელოვნება და მიღწევის მაღალი მოთხოვნილება; ამავე დროს, უჩინრად დარჩენის მისწრაფება და მიღწევების შიში, რამდენადაც „ხილვადობა“ რეპრესიის მუქარის შემცველად აღიქმებოდა;
- ტოტალიტარულ სისტემაში ინტეგრაციის მიმართ მაღალი ლტოლვა და საბჭოთა „ფაბრიკის“ ყველა საფეხურის გავლის სურვილი (პიონერობა, კომკავშირლობა, პარტიის წევრობა): ამავე დროს, სისტემისგან ფარული გამიჯვნა, მაგალითად, კომუნისტური პარტიის მიერ აკრძალული სასულიერო პრაქტიკების – ლოცვის, ნათლობის და სხვა რიტუალების განხორციელების გზით;
- გარემოს აღქმა მხარდამჭერად (აღქმული მხარდაჭერა ერთ-ერთი ძლიერი ადაპტაციისუნარიანობის სტრატეგიაა (Slipjen 2017) და ამავე დროს, გარემოს აღქმა როგორც მტრულის, და ა.შ.

**პარადოქსული ფენომენები ოჯახური სისტემის დონეზე.** პარადოქსული ფენომენები იკითხება, აგრეთვე, რეპრესირებულთა ოჯახური სისტემის დონეზე. მაგალითად:

- მეორე თაობის რესპონდენტები პირველი თაობის გადარჩენილ მშობელს აღიქვამდნენ როგორც შიშით შეპყრობილს, უსუსურს. ამავე დროს, მეორე თაობის რესპონდენტები აღიარებდნენ იგივე მშობლის ერთპიროვნულ ლიდერობასა და მმართველობას ოჯახურ სისტემაში;
- გადარჩენილ მშობლებს, როგორც ჩანს, შფოთვის მართლაც მაღალი ხარისხი ჰქონდათ. მაგალითად, რესპონდენტების ნაწილმა აღწერა სხვა გამოქვეყნებული ნარატივებიდანაც კარგად ცნობილი „ჩალაგებული ჩემოდნის სინდრომი“ – ისინი ყოველ მომენტში ელოდნენ დაპატიმრებას და შესაბამისი ბარგიც მზად ჰქონდათ. ამ შფოთვის გამო, ისინი ახორციელებდნენ ზემეურვეობის (უფრო ხშირად, ავტორიტარული ზემეურვეობის) აღმზრდელობით სტრატეგიას, რაც შვილებს სეპარაციისა და დამოუკიდებლობის მიღწევის შესაძლებლობას უზღუდავდა. ამავე დროს, კვლავ გამომდინარე მშობლების მაღალი შფოთვიდან და შიშიდან, შვილები მათ აღიქვამდნენ, როგორც უმწეოს და მფარველობდნენ, გარკვეულწილად – მშობლობას უწევდნენ (ე.წ. პარენტიზაცია). ეს კი იძლეოდა ზემეურვეობისა და პარენტიზაციის პარადოქსულ თანაარსებობას ოჯახურ სისტემაში, და არაჯანსაღ, ზედმეტად მჭიდრო მიჯაჭვულობას. ეს პატერნი ზოგიერთ ოჯახში მეორდება მეორე და მესამე თაობის ურთიერთობაშიც.

13 ადაპტაციისუნარიანობას ვხმარობთ resilience-ის მნიშვნელობით (სხვა ქართულ თარგმანებში იხმარება „აღდგენისუნარიანობა“ და „სტრესმედეგობა“; მაგრამ უკანასკნელი გამოკვლევების თანახმად resilience-ის მნიშვნელობას უფრო ზუსტად ადაპტაციისუნარიანობა გამოხატავს (Slipjen 2017).

**ტრავმის კვალი.** ტრავმული გამოცდილება მეორე თაობის ზოგიერთ რესპონდენტში პირდაპირი სიმპტომების სახით იჩენს თავს – მაგალითად, ინდივიდუალურ დონეზე, პანიკური შეტევები მატრავმირებელი მოვლენების მომაგონებელ სტიმულებზე (შენობის წინ, ლამით, მანქანის გაჩერების ხმაზე). ერთგვარი ზესიფიზიოლოგიური სინდრომი თავს იჩენს, აგრეთვე, ოჯახურ დონეზე – ოჯახური თანაცხოვრების ისეთი რეჟიმის სახით, რომლის დროსაც ოჯახს არ სძინავს რეპრესიებისთვის ტიპიურ დროს (ლამის 4 საათამდე). მაგრამ ყველაზე შესამჩნევია რეპრესიების კვალი იმ შემთხვევაში, თუ დავაკვირდებით რეპრესირებული ოჯახების მეორე თაობის ცხოვრებისეულ ტრავმატორიებს, ცხოვრებისეულად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებას: პროფესიის არჩევას, ცხოვრების თანამგზავრის არჩევას, ოჯახური თანაცხოვრების წესებს და ა.შ. მაგ., საქართველოში ტოტალიტარულ პერიოდში ექიმი ერთ-ერთ ყველაზე მოთხოვნად პროფესიად იქცა, რამდენადაც განიხილებოდა თვითგადარჩენის გზად, რეპრესიის შემთხვევაშიც კი – დღეს ყველასათვის არის ცნობილი კლიშე „ექიმი იქაც ექიმია“, რამაც არაერთხელ გაიჟღერა ჩვენი კვლევის რესპონდენტებთან ინტერვიუების პროცესში.

**რეაბილიტაციის პროცესითა და შედეგით უკმაყოფილება.** უკლებლივ ყველა რესპონდენტი უსვამდა ხაზს იმას, თუ რამდენად გაუმართავი და არადაამაკმაყოფილებელი იყო რეაბილიტაციის პროცესი, ზოგიერთ შემთხვევაში კი მატრავმირებელი, რასაც რეპრესირებულთა ოჯახების წევრები „წვალებად“ აღიქვამდნენ. ყოველივე ეს კარგად აჩვენებს, რომ თუ არ მოხდა რეფლექსია წარსულზე, არ შედგა საზოგადოებრივი კონსენსუსი იმის თაობაზე, რომ რაც ხდებოდა ტოტალიტარულ პერიოდში ის იყო დანაშაული კაცობრიობის წინაშე, რომ ეს აღარ უნდა განმეორდეს, რომ რეპრესირებულთა ოჯახებს დიდი ზიანი მიადგა, რომ სახელმწიფომ, სულ მცირე რაც უნდა გააკეთოს, უნდა აღიაროს ეს ზარალი და ზიანი, შეიმუშავოს წარსულთან გამკლავების სტრატეგია – სხვანაირად რეაბილიტაცია არ იმუშავებს.

### დასკვნები და რეკომენდაციები

ტოტალიტარულ პერიოდში ქართულ საზოგადოებაზე მოქმედებდა სტრესორთა კომპლექსური სისტემა, რომელმაც მოახდინა მატრავმირებელი ზემოქმედება საზოგადოების სხვადასხვა (ინდივიდუალურ, ოჯახურ, სათემო, საზოგადოებრივ) დონეზე;

ქართულ საზოგადოებაში, ყველა დონეზე (დაწყებული ინდივიდიდან, დამთავრებული სახელმწიფოთი) არსებობს წინააღმდეგობა ტოტალიტარული ტრავმის აღიარების თვალსაზრისით;

მიუხედავად იმისა, რომ დღეისთვის გამოქვეყნებულია მთელი რიგი ნარატივები საბჭოთა რეპრესიებზე, და ასევე, სამეცნიერო კვლევების შედეგები, საზოგადოება მიმართავს უარყოფის დაცვის მექანიზმს და არ მიაჩნია აქტუალურად ტოტალიტარულ წარსულთან გამკლავებაზე მუშაობა – მასზე რეფლექსია, გაკვეთილების გამოტანა, შეფასებების გაკეთება, მომავალში ამგვარი ავთვისებიანი განვითარების პრევენციაზე ზრუნვა;

მდგომარეობას ართულებს ის, რომ საკანონმდებლო დონეზე არსებული ბარიერები ხელს უშლის ტოტალიტარული პერიოდის სრულფასოვან სამეცნიერო შესწავლას. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ქართულმა საზოგადოებამ ნებისით თუ უნებლიეთ დაკარგა წარსულის გასაღები და რამდენადაც ის ვერ აკონტროლებს წარსულს, წარსული აკონტროლებს მას;

როცა წარსულის გასაღები დაკარგულია: ტრავმის კვალი პოსტოტალიტარულ საქართველოში

ქვეყნის სოციო-პოლიტიკურ ცხოვრებაში გამოუგლოვებელი ტოტალიტარული ტრავმა თავს იჩენს დაქვემდებარების, შებრძოლება-გაქცევის, გამრავლებისა და არაშეჭიდულობის (მასსიფიკაცია/აგრეგაციის) საბაზო დაშვებებზე დაფუძნებული არაჯანსაღი დინამიკის სახით, რაც მნიშვნელოვანწილად აბრკოლებს ქვეყნის განვითარებას;

თითოეული საბაზო დაშვების განხორციელებაში აქტიური როლი მიუძღვის საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასა და საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს;

რეპრესირებულმა ოჯახებმა განსაკუთრებულად მატრავმირებელი გამოცდილება გამოიარეს – დაწყებული ოჯახის წევრის დაკარგვით, დამთავრებული „ხალხის მტრის“ სტიგმითა და შესაბამისი დისკრიმინაციით. ოჯახურ ტრავმასთან გამკლავებაში მათ ხელს უშლის ის, რომ არც საზოგადოების, არც სახელმწიფოს მხრიდან მათი რეპრესიებთან დაკავშირებული ზიანი და ზარალი არ არის სათანადოდ აღიარებული და კომპენსირებული;

რეპრესირებულთა ოჯახების მეორე და მესამე თაობაში ტოტალიტარული ტრავმა თავს იჩენს როგორც პირდაპირი სიმპტომების (მაგ., პანიკური შეტევების) სახით, ასევე შენიღბულად – როგორც ცხოვრებისეულად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების სტილი, ადაპტაციისუნარიანობის პარადოქსული სტრატეგიები, ოჯახური ურთიერთობების სპეციფიკური პატერნები. ცხოვრების ტრავექტორიაში ამგვარად „ჩაწულ ტრავმას“ თაობიდან თაობაში გადაცემის მაღალი პოტენციალი აქვს;

აღწერილი პრობლემების მოვლას ესაჭიროება წარსულის აღიარებაზე და წარსულთან გამკლავებაზე მუშაობა. წარსულთან გამკლავება კომპლექსური პროცესია. აქ უნდა მოვიაზროთ შემდეგი:

- ეროვნულ უშიშროებაზე ზრუნვა და ლუსტრაცია – რამდენადაც დღევანდელი მოცემულობა იძლევა ამის საშუალებას;
- რადგან რეპრესირებულთა და მათ აგრესორთა თაობა დღეს ცოცხალი აღარაა (ისევე, როგორც მეორე თაობის უმრავლესობა), დღეს კიდევ უფრო მნიშვნელოვანია მეცნიერთა მოღვაწეობა წარსულის გააზრების მიმართულებით; ხელოვანთა მოღვაწეობა წარსულის სიმბოლიზაციის მიმართულებით; ასევე, მუშაობა წარსულის მემორიზებაზე;
- აუცილებელია საზოგადოებისა და განსაკუთრებით – აკადემიური წრეების იმ წარმომადგენელთა თანამშრომლობა, ვისაც ესმის წარსულთან გამკლავების, წარსულის გააზრებისა და გაკვეთილების გამოტანის მნიშვნელობა;
- უნდა მოხდეს ერთობლივი ლობირება საკანონმდებლო ცვლილებებისა, რომელიც თანამედროვე ისტორიკოსებს არქივებთან დაუბრკოლებელი მუშაობის საშუალებას მისცემს;
- ასევე, უნდა მოხდეს ისტორიის სახელმძღვანელოებში საბჭოთა წარსულის ისტორიის შეტანა და სწავლება, პედაგოგების სპეციალური გადამზადება ამისთვის;
- უნდა დაიწყოს მულტიდისციპლინური კვლევები, დასავლურ ინსტიტუციებთან თანამშრომლობით, ვისაც წარსულთან გამკლავების სოლიდური გამოცდილება აქვთ;
- უნდა შემუშავდეს საბჭოთა წარსულთან გამკლავების სახელმწიფო სტრატეგია და შესაბამისი სტრატეგიული გეგმა, რომელიც უნდა მოიცავდეს შემდეგ დო-

ნეებს: სამართლებრივი (აღდგენითი მართლმსაჯულება), საგანმანათლებლო (საბჭოთა წარსულის სწავლება), სამეცნიერო (ისტორიული და ინტერდისციპლინური კვლევები), ხელოვნება (მემორიზაციის სტრატეგია).

## გამოყენებული ლიტერატურა

- დე ვაალი, თომას (რედ). 2013. *სტალინის თავსატეხი*. თბილისი: ჰენრიხ ბილის ფონდი და კარნეგის ფონდი.
- ერცენი, ივო, ჯავახიშვილი, ჯანა და ჯავახიშვილი, ლადო. 2020. *აღდგენითი მართლმსაჯულება*. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- იუნგე, მარკი, რაისნერი, ოლივერი, ბონვეჩი, ბერნდი. 2015. თოვლის ქვეშ. იუნგე, მარკი, თუშურაშვილი, ოთარი, ბონვეჩი, ბერნდი – რედ. (2015/1). დიდი ტერორი კაკასიის პატარა რესპუბლიკაში, პირველი ტომი. თბილისი, გვ. 10-30;
- მარგველაშვილი, ანა, ირაკლი ხვადაგიანი, გიორგი შაიშმელაშვილი და მაგდა ცოცხალაშვილი. 2012. *დაკარგული ისტორია. მეხსიერება რეპრესირებული ქალების შესახებ*. თბილისი: SovLab.
- სარჯველაძე, ნოდარ, ზურაბ ბებერაშვილი, დარეჯან ჯავახიშვილი, ნინო მახაშვილი და ნატო სარჯველაძე. 2008. *ტრავმა და ფსიქოლოგიური დახმარება*. თბილისი: ნეკერი.
- ქურხული, ავთანდილ. 2004. *...და რომ გახსოვდეს*. თბილისი: რეგთაიმი.
- ჩახნაშვილი, ნინო. (2017). პირადი საუბარი.
- ჩოლოყაშვილი, რუსუდან, ეკა ჩხეიძე, ნესტან რატიანი და ირმა ყველაშვილი. 2010. *ანტი-საბჭოთა სიტყვიერება*. თბილისი: ნეკერი.
- ჯავახიშვილი, დარეჯან (ჯანა). 2018. *ტოტალიტარული რეპრესიებით გამოწვეული ფსიქოსოციალური ტრამის გავლენა და თაობათშორისი გადაცემა საქართველოს მაგალითზე*. სადოქტორო დის., ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.
- ჯავახიშვილი, ჯანა და ნოდარ სარჯველაძე. 2004. პანკისის ხეობაში ქალთა სათემო საბჭოს შექმნა. სამუშაო შეხვედრის მასალები.
- Bogensperger, Julia and Brigitte Lueger-Schuster. 2014. Losing a child: finding meaning in bereavement. *European Journal of Psychotraumatology*, Vol.5 no.1 (March): 1-9.
- Cohen, A. Judith, Anthony P. Mannarino and Esther Deblinger. 2006. *Trating Trauma and Traumatic Grief in Children and Adolescents*. New York and London: The Guilford Press.
- Danieli, Yael (ed.). 1998. *International handbook of multigenerational legacies of trauma*. New York: Plenum.
- Felitti, Vincent, Robert F. Anda, Dale Norderberg, David F. Williamson, Alison M. Spitz, Valerie Edwards, Mary P. Koss and James S. Marks. 1998. Relationship of childhood abuse and Household Dysfunction to many of the leading causes of death in adults: the adverse childhood experiences (ACE) study. *American Journal of Preventive Medicine*. Vol. 14, no. 4 (May): 245-258.
- Figs, Orlando. 2008. *The Whisperers: Private Life in Stalin's Russia*. London: Penguin Books Limited.
- Firclough, Norman. 2003. *Analyzing Discourse: Textual Analyses for Social Research*. London and New York: Routledge, Teylor & Francis group
- Freud, Anna. 1936. *The Ego and the Mechanisms of Defense*. New York: International Universities Press.

- Herman, L. Judith. "Shattered Shame States and Their Repair". *The John Bowlby memorial lecture*, 2007.
- Herman, L. Judith. "Truth and Reconciliation: Envisioning Justice from The Victim's Perspective". Key note speech at the 35<sup>th</sup> Annual Meeting of the International Society for Traumatic Stress Studies, Boston, USA, 2019.
- Hopper, Earl. 2003. *Traumatic Experiences in the Unconscious Life of Groups*. London & New York: Jessica Kingsley Publishers.
- Janoff-Bulman, Ronnie. 1992. *Shattered Assumptions: Towards a New Psychology of Trauma*. New York: Free Press.
- Javakhishvili, J. Darejan (Jana). 2014. Soviet Legacy in Contemporary Georgia: A Psychotraumatological Perspective. *Identity Studies*. Vol.1 no.5: 20-40.
- Jeffrey C. Alexander, "Toward a Theory of Cultural Trauma," in *Cultural Trauma and Collective Identity*, ed. Jeffrey C. Alexander (Berkeley: University of California Press, 2004)1-30.
- Klein, Melanie, "Mourning and its relation to manic-depressive states," in *The Selected of Melanie Klein*, ed. Mitchell, Juliet (New York: The Free Press, 1940)146-174.
- Lipstadt, E. Deborah. 1994. *Denying The Holocaust: A Growing Assault on Truth and Memory*. New York: Penguin books.
- Maier, F. Steven and Martin E. P. Seligman. 2016. Learned Helplessness at Fifty: Insights from Neuroscience. *Psychological Review*. Vol. 123, no. 4 (July): 349-367.
- Minear, Richard H. 1971. *Victors' justice: the Tokyo war crimes trial*. Princeton NJ: Princeton University Press.
- Sleijpen, Marieke, Trudy Mooren, Rolf J. Kleber and Hennie R. Boije. 2017) Lives on Hold: A Qualitative Study of Young Refugees' Resilience Strategies. *Childhood: A Global Journal of Child Research*. Vol. 24, no. 3: 348-365.
- Van Dijk, A. Teun. 1993. Critical Discourse Analysis. *Discourse & Society*. Vol.4, no. 2: 349-383.
- Vaillant, E. George. 1992. The Historical Origins and Future Potential of Sigmund Freud's Concept of the Mechanisms of Defence. *The International Review of Psycho-analysis*. Vol/ 19, no. 1: 35-50.
- Volkan, Vamik. 1997. *Bloodlines: From ethnic pride to ethnic terrorism*. New York: Farrar, Straus and Giroux.
- Volkan, D. Vamik, "What Some Monuments Tell us about Mourning and Forgiveness," in *Taking Wrongs Seriously: Apologies and Reconciliation*, eds. Barkan Elazar and Alexander Karn (Stanford, CA: Stanford University Press, 2006):115-131.
- Volkan, D. Vamik, "The Next Chapter: Consequences of Societal Trauma," in *Memory, Narrative, and Forgiveness: Perspectives on the Unfinished Journeys of the Past*, eds. Pumla Gobodo-Madikizela and Chrtis N. Van Der Merwe (London: Cambridge Scholars Publishing, 2009a)1-26.
- Volkan, D. Vamik and Christopher J. Fowler. 2009b. 2014. Large-group Narcissism and Political Leaders with Narcissistic Personality Organization. *Psychiatric Annals*, Vol. 39, no. 4: 2014-223;
- Zehr, Howard and Ali Gohar. 2003. *A Little Book of Restorative Justice*. Pennsylvania: Good Books.
- Иракли Хвадагиани, "Жертвы политических репрессий в Грузии: отношение общества и процесс реабилитации". *Реабилитация и Память. Отношение к жертвам советских политических репрессий в странах бывшего СССР*, сост. Ян Рачинский (Москва: «Мемориал» – «Звенья», 2016)152-192.